აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 101-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№12 (24.892) სამშაბათი, 15 - 16 თებერვალი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდამთიან რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ირაკლი ღარიბაშვილმა და ალი ასადოვმა ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას და სხვადასხვა მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების პოზიტიურ დინამიკას, დაადასტურეს მზადყოფნა ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარებისთვის. აზერბაიჯანელმა კოლეგამ საქართველოს მთავრობის მეთაურს სოლიდარობა გამოუცხადა ქვეყანაში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით, რისთვისაც ირაკლი ღარიბაშვილმა მას მადლობა გადაუხადა.

* * *

პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელები, რეგლამენტის თანახმად, ბიუროს სხდომას დაესწრებიან და სათათბირო ხმის უფლებით ისარგებლებენ. ამის შესახებ განცხადება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გააკეთა. „შეგიძლიათ თავისუფლად დაესწროთ ბიუროს სხდომას, თუმცა, ამავე დროს, შეგახსენებთ, რომ სათათბირო ხმის უფლებით დაესწრებით, ამიტომ კენჭისაყრელი საკითხების დროს, თქვენი მხრიდან მონაწილეობა არ არის გათვალისწინებული და თქვენი ხმა შესაბამისად, კენჭისყრაში მხედველობაში არ მიიღება“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

„ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე რეგიონებში შეხვედრებს მართავს. მცხეთაში, გორსა და ბორჯომში, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მხარეში პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებთან შეხვედრები უკვე გაიმართა, შეჯერდა პოზიციები ქალთა ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით. „მმართველი პარტიის ქალთა ორგანიზაციის დაფუძნება ხელს შეუწყობს ქალების როლის გააქტიურებას არა მხოლოდ პარტიულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ შექმნის ახალ შესაძლებლობებს საზოგადოებაში ქალების უფლებების დაცვისა და ინტერესების რეალიზებისათვის“, - განაცხადა კობახიძემ.

* * *

ამგვარი განცხადებები აბსოლუტურად გაუმართლებელია, მით უმეტეს, ქვეყნის პირველი პირებისგან, - ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგი წერეთელი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ ვაქცინა „ომიკრონის“ შტამის შემთხვევაში არ მუშაობს. „ნებისმიერი ასეთი ტიპის განცხადება აზიანებს პროცესს, რომელიც საჭიროა კოვიდის მართვისას,“ - განაცხადა წერეთელმა.

მალე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყება

პირველი მარტიდან დაიწყება სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი მოქალაქეების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა. წინასწარი პროგნოზით, 200 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. პრემიერის თქმით, შრომისუნარიან ადამიანებს სჭირდებათ არა შემწეობა, არამედ დასაქმება და საკუთარი თავის რეალიზება.

„ეს არის ინიციატივა, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნას საქართველოში და სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებას. ჩვენ შევისწავლეთ კარგად, თუ როგორ მუშაობდა ევროპაში აღნიშნული ინიციატივა და დღეს გვაქვს მზაობა, რომ დავიწყოთ იგი. მინდა მოსახლეობას განვუმარტო, რას გულისხმობს ეს ინიციატივა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა სიღარიბის დაძლევა. კარგად ვიცით, რომ გზა სიღარიბის დაძლევისკენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე გადის. ამიტომ წელს უნდა დავიწყოთ აქტიური დასაქმების პოლიტიკა. ეს იქნება ჩვენი მთავარი საზრუნავი. მე შევახსენებ საზოგადოებას, რომ დღემდე არსებული სოციალური პოლიტიკა შრომისუნარიან, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს უმოქმედობისკენ უბიძგებს. 600 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქიდან 200 000-ზე მეტი შრომისუნარიანია, ანუ არ არის ჩართული ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში. მათ დასაქმება, ამოქმედება, საკუთარი თავის რეალიზება სჭირდებათ. თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ შრომისუნარიანი მოქალაქეები, ყველა, ვისაც ეს შეუძლია, ჩაერთოს ეკონომიკურ პროცესში,“ - განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საზოგადოებრივი სამუშაოები სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნება და ისეთ სამუშაოს გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია.

პროგრამით ისარგებლებენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

მოსარგებლეს ექნება საშუალება, აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია, ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზება მოახდინოს და ჩაერთოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქვეპროგრამებში.

„ამ პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი. ერთის მხრივ, ისინი მიიღებენ სოციალურ დახმარებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს 400-500 ლარი, შეიძლება - 700-800 ლარიც, ამას გარდა, 300 ლარი ექნება დამატებით სახელმწიფოსგან. მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ ის არ დათანხმდება არცერთ შემოთავაზებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება. რა თქმა უნდა, ამ დროის განმავლობაში მას შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება და ხელახლა მიმართოს დასაქმების სააგენტოს ან სოციალური მომსახურების სააგენტოს. საზოგადოებრივი სამუშაოს მასშტაბური პროგრამა იქცევა ჩვენი ვარაუდით უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად სიღარიბის დაძლევის გზაზე. ერთი მხრივ, 200 000-ზე მეტ ჩვენს თანამოქალაქეს მივცემთ უკეთეს შემოსავალს, ღირსეული შრომის პირობებს და თვითრეალიზაციის საშუალებას და მეორე მხრივ, ისინი უნდა ვაქციოთ კონკურენტულ, მოტივირებულ ადამიანებად, რომლებიც სრულფასოვნად ჩაერთვებიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში“, - განაცხადა პრემიერმა.

მინისტრმა იუსტიციის სახლის თანამშრომლებს სერვისი „პრობბოქსი“ წარუდგინა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბათუმის იუსტიციის სახლის თანამშომლებს ინოვაციური პროდუქტი „პრობბოქსი“ წარუდგინა. იუსტიციის სახლს, მინისტრთან ერთად, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანიც ეწვია

ნოვატორული ტექნოლოგიური მოწყობილობით სარგებლობა პრობაციონერებს ბათუმის გარდა ქუთაისში, თბილისში, თელავში, გორსა და ზუგდიდში შეუძლიათ, ეტაპობრივად კი მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება ხელმისაწვდომი.

„პრობბოქსი“ ევროპაში პირველი ინოვაციური ტექნოლოგიური მოწყობილობაა. იგი ყველა იმ სერვისს აერთიანებს, რომელთა სარგებლობისთვისაც პრობაციონერებს აქამდე პრობაციის ბიუროებში სჭირდებოდათ მისვლა. ინოვაციური პროდუქტის დანერგვის შედეგად პირობით მსჯავრდებულები ვალდებულებების შესრულებასა და სერვისების მიღებას სწორედ „პრობბოქსის“ გამოყენებით შეძლებენ. „პრობბოქსის“ სერვისებს შორისაა: შეთავაზებები დასაქმების შესახებ, ინფორმაცია პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, განაცხადის წარდგენა რეჟიმის შემსუბუქების მოთხოვნაზე, პრობაციის ოფიცერთან კომუნიკაცია და მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის დაჯავშნა. „პრობბოქსი“ იუსტიციის სამინისტროს განვითარების 10-წლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ნაწილია. ქართულმა ინოვაციამ უკვე გამოიწვია დიდი ინტერესი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მინისტრმა ქობულეთისა და სოფელ მუხაესტატეს საზოგადოებრივი ცენტრებიც მოინახულა. რატი ბრეგაძე ცენტრების მუშაობას ადგილზე დააკვირდა და თანამშრომლებისა და მომხმარებლების საჭიროებებს გაეცნო. მან სოფელ მუხაესტატეს საზოგადოებრივი ცენტრის მენეჯმენტს მომსახურების ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით კონკრეტული დავალებები მისცა, ამ მიმართულებით, ასევე, სამომავლო სამოქმედო გეგმა განისაზღვრა. მინისტრი იმყოფებოდა ბათუმის №3 პენიტენციურ დაწესებულებაშიც.

რატი ბრეგაძე სამინისტროს სისტემის რეგიონული წარმომადგენლობების მონახულებას განაგრძობს.

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატი მოსახლეობას შეხვდა

ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის ემზადება და შეხვედრებს მართავს მაჟორიტარობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გონიო-კვარიათის ოლქში რამაზ ჯინჭარაძე. იგი ახალსოფლის მოსახლეობას შეხვდა, მოისმინა მათი პრობლემები და თავისი გეგმებიც გააცნო. ადგილობრივებმა ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ისაუბრეს

შეხვედრაზე რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად იმყოფებოდა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, რომელმაც ახალ საინვესტიციო პროექტებზე ისაუბრა. მინისტრის თქმით, ადლია-ახალსოფლის მონაკვეთზე უახლოეს ხანში 70 მილიონის ინვესტიცია განხორციელდება და 1500-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

რამაზ ჯინჭარაძე თანაგუნდელებთან ერთად ინასარიძის ქუჩაზეც მივიდა და კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით, მოქალაქეებს გაესაუბრა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ნაგავსაყრელია. რამაზ ჯინჭარაძის თქმით, მისი კონსერვაცია მალე უნდა დაიწყოს, რადგან ქობულეთის ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა უკვე დასრულებულია.

დასახლებაში მიწისქვეშა კომუნიკაციების გამართვა სამუშაოების მეხუთე ეტაპზე იგეგმება. რამაზ ჯინჭარაძე აცხადებს, რომ ბათუმის საკრებულოში მისი გამარჯვების შემთხვევაში, საკუთარი გუნდისთვის გადამწყვეტი ხმა იქნება. მან მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა.

ანკა ჩხიკვაძე

პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა

2022 წელს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის - „ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების“ ბიუჯეტი 2 300 000 ლარამდე გაიზარდა. პარალელურად, გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტებისათვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამეტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 20 000 ლარიდან გაიზარდა 23 000 ლარამდე, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია. კერძოდ:

თარგენტული, იმუნოთერაპიული (მონოკლონური ანტისხეულების, პროტეინ კინაზა ინჰიბიტორების, ბისფოსფონატების ჯგუფის) მედიკამენტების ღირებულება - 1000 ლარამდე ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე.

1000 ლარზე მეტი ღირებულების სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების დაფინანსების დროს გათვალისწინებული იქნება პაციენტების სოციალური სტატუსი:

- 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს დაუფინანსდებათ - 100%-ით; 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს დაუფინანსდებათ - 90%-ით; სხვა დანარჩენ პაციენტს - 80% -ით. თითოეულ მომართვაზე არა უმეტეს 7000 ლარისა.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მქონე მოქალქეებისათვის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ, სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების დაფინანსება გაიზარდა 10 000 ლარიდან 15 000 ლარამდე. ასევე, გაიზარდა იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცენტული წილი, რომელიც არ ფინანსირდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით. კერძოდ: მკურნალობის ღირებულება -1000 ლარის ჩათვლით - 100%-ით; მკურნალობის ღირებულება - 1000 ლარზე მეტი - 3000 ლარის ჩათვლით - 90%-ით; მკურნალობის ღირებულება - 3000 ლარზე მეტი - 80%-ით, მაგრამ არა უმეტეს 7000 ლარისა.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტ ტრასტუზუმაბით (ჰერცეპტინით) მკურნალობა დაფინანსდება სრულად, თანაგადახდის გარეშე-15 ციკლი.

გართულებული/შორსწასული ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პაციენტებს დამატებით დაუფინანსდებათ ტრასტუზუმაბით (ჰერცეპტინით) მკურნალობის 3 ციკლი (სულ არა უმეტეს 18 ციკლი) შემდეგი პროპორციების დაცვით: 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს - 80%-ით; სხვა დანარჩენ პაციენტს - 50% -ით.

გაიზარდა ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში მედიკამენტ პერტუზუმაბი/ლაპატინიბისა და ტრასტუზუმაბთან (ჰერცეპტინი) ერთად (1 პაციენტზე - 8 ციკლი), წლის განმავლობაში დაფინანსებულ პაციენტთა რაოდენობა - 15, ნაცვლად 10 პაციენტისა. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აქვეყნებს.

მაიაკოვსკის ქუჩის მცხოვრებლებმა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა მოითხოვეს

13 თებერვლის ძლიერმა მიწისძვრამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის №55-ში მდებარე ისედაც ავარიული, ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეებს. მოსახლეობამ ბინები დატოვა და ქუჩაში გამოვიდა

მათი განცხადებით, მიწისძვრამ კორპუსში ახალი ბზარები გააჩინა, რამაც კიდევ უფრო სახიფათო გახადა აქ ცხოვრება. მათივე ინფორმაციით, კორპუსიდან განსახლებისთვის მერიამ თანხა გამოყო, თუმცა მშენებელ კომპანიას კუთვნილი ბინები ამ დრომდე არ აუშენებია. არაერთი აქციაც გამართეს, თუმცა - უშედეგოდ. სახლის მობინადრეები უსაფრთხო ადგილზე გაყვანას ითხოვენ.

მაიაკოვსკის ქუჩის მცხოვრებლებს ბათუმის მერიის მუნიციპალური სერვისების სამსახურის დირექტორის მოადგილე ირაკლი დევაძე შეხვდა.

როგორც მან ავარიულ კორპუსში მცხოვრებ მოქალაქეებს განუცხადა, მათ ალტერნატიულ ფართში სასწრაფოდ გადაიყვანენ.

მისი ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეებისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი შენდება, პარალელურად კი მშენებელ კომპანიასთან სამართლებრივი დავა მიმდინარეობს, რადგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ბოლომდე არ შეუსრულებია.

ანკა ჩხიკვაძე

ბათუმი საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

9-12 თებერვალს სტამბოლი რიგით 25-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა „ემიტ 2022“-ს მასპინძლობდა. გამოფენაში ტრადიციულად მონაწილეობდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ვიზიტიორს ჩვენი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს აცნობდა

ორწლიანი პაუზის შემდეგ (პანდემიის გამო) ბათუმი მაისში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას უმასპინძლებს. „მსგავსი ტიპის გამოფენები ძალზე მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის განვითარებისთვის. მოხარული ვართ, რომ ქალაქ სტამბოლში ტურიზმის გამოფენაზე დეპარტამენტთან ერთად წარმოვადგენთ საქართველოს. პანდემიის პერიოდში მსგავსი გამოფენები ერთობ მნიშვნელოვანია თითოეული ტურიზმის სფეროში დასაქმებულისთვის, რადგან ეს ერთგვარი შესაძლებლობაა კომპანიებისთვის, მიიღონ გამოცდილება და ერთმანეთს გაუზიაროონ თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს და დაამყაროონ ახალი კონტაქტები. პანდემიამ, რა თქმა უნდა, ყველა სფერო დააზარალა, მაგრამ ტურიზმი - განსაკუთრებით. არსებულმა რეგულაციებმა დააბრკოლა მიმოსვლა, შეფერხდა შიდა ტურიზმიც, ამიტომ ჩვენ - ყველამ ერთად, ერთობლივი ძალებით უნდა შევძლოთ ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ტურიზმი ისევ დაუბრუნდეს ჩვეულ რიტმს“, - გვითხრა საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ექსპოს“ დამფუძნებელმა ოსმან ჩალიშქან მჟავანაძემ.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

2 აპრილს გასამართ შუალედურ არჩევნებში ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის „ნაციონალური მოძრაობიდან“, გარდაცვლილი დეპუტატის ნუგზარ ფუტკარაძის შვილი მათე ფუტკარაძე იბრძოლებს. მათე ფუტკარაძის თქმით, მას არ სურდა პოლიტიკაში ყოფნა, მაგრამ მომხდარიდან გამომდინარე გადაწყვიტა, მამის გზა გააგრძელოს. წარდგენის დროს მოხდა ინციდენტი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების თქმით, მათ ფოტოებს უღებდა ბათუმის პოლიციის თანამშრომელი, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო და ის მანამდე სხვა აქციებზეც შეუმჩნევიათ. პიროვნება, რომელზეც საუბრობენ „ნაციონალურ მოძრაობაში“, ადასტურებს, რომ პოლიციელია, მაგრამ ირწმუნება, რომ ამ ადგილზე პირადი საქმისთვის იყო მისული.

* * *

უკრაინის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა ბათუმში. ევროპის მოედანზე საქართველოში მცხოვრები უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეები შეიკრიბნენ. მოქალაქეებთან ერთად, მხარდასაჭერ აქციას პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ევროპის მოედანზე შეკრებილებმა რუსული აგრესია დაგმეს.

* * *

ბათუმის მერიასთან „არ გადადოს“ აქტივისტებმა აქცია-პერფორმანსი გამართეს. ჯგუფმა მერიის შენობის კედელზე ვიდეორგოლი აჩვენა, კადრებში ასახული იყო სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე დარღვეული საგზაო უსაფრთხოების ნორმები. ჯგუფის წევრების თქმით, მათ ბათუმის 25 სკოლა შეისწავლეს, საიდანაც 12 სკოლასთან არ იყო ე. წ. მწოლიარე პოლიციელები, გამაფრთხილებელი ნიშნები და ზებრაგადასასვლელები.

* * *

რუსეთის მხრიდან ძალადობის მსხვერპლმა ბელარუსის მოქალაქეებმა, რომლებიც ლუკაშენკოს რეჟიმს ებრძოდნენ, ბათუმში აქცია-პერფორმანსი სახელწოდებით „თავისუფლების შიმშილი“ გამართეს. აქტივისტებმა პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების პატივისცემა მოითხოვეს. აქციის მონაწილეების თქმით, ბელარუსიდან 3 მილიონზე მეტი ადამიანი პოლიტიკური რესპრესიების გამოა წასული.

* * *

მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე გადახურული ადგილების მოწყობა მოითხოვა მოძრაობა „არ გადადომ“. ახალგაზრდულმა გაერთიანებამ აქცია-პერფორმანსი მოაწყო. სტუდენტები ხიმშიაშვილის ქუჩაზე, სადაც ავტობუსის გაჩერება მშენებარე ობიექტს აქვს მიტაცებული, ქოლგით დადგნენ. მათი მოთხოვნა შესაბამის ადგილებზე საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების განთავსება და საგზაო მოძრაობის მოწესრიგებაა. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ ქვეითების, მძღოლებისა და მგზავრების უსაფრთხოება სწორედ საგზაო მოძრაობაზეა დამოკიდებული, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონის გამო კი არაერთი შემთხვევა ხდება.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაყლაპა პატარა პარტიები და შექმნა გადაწყვეტილების მიღების უუნარო ალიანსი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ (ენმ) პოლიტიკურად გაძარცვა პატარა პარტიები, - განაცხადა მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ დამოუკიდებელი პოლიტიკოსის გიგი უგულავას ინიციატივაზე „ნაციონალური მოძრაობის“ გარდასახვასა და „მისი ქოლგის ქვეშ“ დიდი ოპოზიციური ძალის შექმნასთან დაკავშირებით. „ასეთი ქოლგა ოპოზიციას ბოლო 2 წელიწადში ორჯერ მაინც ჰქონდა გაშლილი. შედეგი იყო ის, რომ შევიდნენ ეს ახალი პარტიები ხმებით და გამოვიდნენ ქოლგიდან ხმების გარეშე. ანუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისინი პოლიტიკურად გაძარცვა ქოლგის ქვეშ“.

უგულავა კი დარწმუნებულია, რომ ეს ენმ-ს უფრო მრავალფეროვანს გახდის, მოიზიდავს ახალ ადამიანებსა და პოლიტიკურად აქტიურ ჯგუფებს.

„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, უგულავას ინიციატივა პარტიაში სერიოზულად არ განუხილავთ. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა,“ განსაკუთრებით ბოლო წლებში, ხშირად ეხმარება პატარა პარტიებს პოლიტიკაში ადგილის გასამყარებლად. ბეჟაშვილმა აღნიშნა, რომ ენმ მცირე პარტიებს კოალიციური მთავრობის მოდელს სთავაზობდა. იდეის ინიციატორი მიიჩნევს, რომ ამჟამად ყალიბდება სურათი, როდესაც ქვეყანაში ორი წამყვანი პარტიის - მმართველი ძალისა და „ნაცმოძრაობის“ გარდა, არის კიდევ მესამე ძალა. ესაა ცალკე აღებული პარტიები, რომლებსაც, გაერთიანების შემთხვევაში, შეუძლიათ სერიოზულად შეარყიონ მმართველი პარტიის პოზიციები.

რას ფიქრობენ ამაზე „ქართული ოცნების“ წევრები, როგორ აფასებენ პარლამენტსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რა ხდება ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნების წინ?

გვესაუბრება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტიტე აროშიძე.**

- თუკი ადრე „ქართული ოცნება“ ლოიალობას იჩენდა ოპოზიციის მიმართ, ახლა გაამკაცრა მიდგომები. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ჯაფარიძისა და ნათელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო....

- გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიციას პარლამენტი არ სჭირდება რეალური საქმის საკეთებლად თუ ქვეყნისთვის სასიკეთო ინიციატივების წარსადგენად, ეს მოსალოდნელიც იყო. ისინი პარლამენტს მხოლოდ პერფორმანსების მოსაწყობ, სათამაშო არენად იყენებენ. ეს თავადაც დაადასტურეს, როდესაც ხმამაღლა განაცხადეს: „ჩვენ ხან პარლამენტში მოვალთ და აქ ვიყვირებთ, ხანაც - ქუჩაში გავალთ, იქ მოვაწყობთ მიტინგებს“. ეს არის არა ოპონირების რეჟიმი, არამედ ქვეყნისთვის საზიანო, საკანონმდებლო ორგანოს მიმართ კი, შეურაცხმყოფელი განცხადება. ვფიქრობ, ასეთი ოპოზიციის ყოფნას პარლამენტში აზრი არ აქვს.

- ოპოზიცია ყოველთვის ოპონირებს. როგორი ოპოზიცია უნდა იყოს პარლამენტში?

პარლამენტში უნდა დარჩნენ ის ოპოზიციური ძალები და ინდივიდები, ვინც მოწოდებულია ქვეყნის სასიკეთო საქმე აკეთოს. თუ რომელი ფლანგიდან იქნება ინიციატივები, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ჯერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს ბოიკოტს პარლამენტში შესვლაზე, შემდეგ, ქუჩაში გამართულ მიტინგებზე ხალხი რომ შემოაკლდათ და საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებაც ვერ მოახერხეს, გადაწყვიტეს, მთელი ეს პროცესი პარლამენტიდან ემართათ და მმართველი პარტიისთვის ხელი შეეშალათ მუშაობაში. თქვენ იცით, რომ ბოლო პერიოდში პარლამენტში უამრავი სასიკეთო ინიციატივა განხორციელდა, რომელიც შევიდა კანონპროექტებში, ზოგიერთი მათგანი კანონადაც ჩამოყალიბდა. ანუ ეს არის ის, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება ამ ეტაპზე. პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და მოსახლეობისთვის ღებულობს გარკვეულ ინიციატივებს და გადაწყვეტილებებს, მაგრამ თუ მხოლოდ ხელშესაშლელად და დესტრუქციისთვის შედის ოპოზიციური ძალა, მაშინ აღარაფერი ესაქმება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

- თალაკვაძის განცხადებით, ენმ-მ გაძარცვა პატარა პარტიები...

- ფაქტია, რასაც აღიარებენ კიდეც როგორც თავად ეს პატარა პარტიები, ისე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. როდესაც საუბარია სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღებაზე, იცით, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივებით ხდება ოპოზიციური ძალების მობილიზება. ეს. რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ სამწუხაროდ, არავის არა აქვს ენმ-თან შეწინააღმდეგების რესურსი და ვერ ახერხებენ არ გაყვნენ მათ მიერ არჩეულ გზას.

- თავად პატარა პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ დამოუკიდებლები არიან და არ ერთიანდებიან არავის ქოლგის ქვეშ.

- კი, აცხადებენ, აბა რას იტყვიან. ყვირიან - ჩვენ არ ვართ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივი, არ ვართ შეკრული, მაგრამ ყველა ხედავს იგივე საკრებულოებში, რომ ნაბიჯსაც ვერ დგამენ „მათ“ გარეშე. ბათუმის საკრებულოშიც გამოჩნდა, „ლელოს“ და „საქართველოსთვის“ პარტიების წევრები რა გზასაც დაადგნენ. არც ერთს არ უხსენებია ის დამოუკიდებლობა, ხმამაღლა რომ აცხადებენ. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უნდოდა გაეყვანა საკრებულოს თავმჯდომარედ „ლელოს“ კანდიდატი. სხვაგვარად როგორ აიხსნება ეს ფაქტი, იქნებ მითხრათ?..

ყოველივე ნიშნავს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაყლაპა პატარა პარტიები, შექმნა გადაწყვეტილების მიღების უუნარო ალიანსი და ისინიც უკვე თამაშობენ ქვეყნისთვის საზიანო თამაშს.

- უგულავას ინიციატივაზე რას იტყვით? მისი აზრით, ქვეყანაში არსებობს მესამე ძალა, ესაა ცალკე აღებული პარტიები, რომლებსაც, გაერთიანების შემთხვევაში, შეუძლიათ სერიოზულად შეარყიონ მმართველი პარტიის პოზიციები.

- მოდით, ფაქტებით და სტატისტიკით ვისაუბროთ. ვნახეთ, რომ უახლოეს წარსულში, საპარლამენტო არჩევნებში, ჩვენ მოვიპოვეთ დამაჯერებელი გამარჯვება საკონსტიტუციო უმრავლესობით იმის მიუხედავად, რომ მთელი ოპოზიციური ძალების გაერთიანება გამოვიდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. უკვე ესეც მიუთითებს, რომ მათ კონსოლიდაციის უნარი კი არა, სურვილიც არ გააჩნიათ.

- რომ გაერთიანდნენ?

- გაერთიანებულებიც ვერ შეარყევენ „ქართული ოცნების“ პოზიციებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ოპოზიციას მეტი შანსი აქვს გარკვეულ ნიშნულამდე მივიდეს. დღეს მოსახლეობა ირჩევს იმ ძალას, რომელიც სტაბილურია, მშვიდობიანი გზით მიდის და არანაირი რევანშის სურვილიც არ აქვს. ამიტომ ვამბობთ, რომ ოპოზიციას ჩვენს წინააღმდეგ არავითარი შანსი არ გააჩნია.

- ეს კარგია თუ ცუდი?

- რა თქმა უნდა, ცუდია. სამწუხაროა, როდესაც ასეთი ოპონენტი გვყავს. ოპოზიციის არსი გულისხმობს ხელისუფლების კონტროლს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას. ჯანსაღი ოპოზიცია განაპირობებს კონკურენციის რეჟიმს პოლიტიკაში და ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას როგორც მმართველი პარტიის, ასევე სხვადასხვა აღმასრულებელი სტრუქტურის თუ სახელმწიფო ინსტიტუციის მხრიდან. მსგავსი არაფერი ხდება, სახელმწიფო ინტერესებისთვის რეალურად მოქმედი ოპოზიციური პარტია არ გვყავს. ყველა ოპოზიციური ძალა, რომელიც არსებობს, ან დარჩა რეგისტრირებული იუსტიციაში ან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსშია.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს სხვადასხვა კორუფციული გარიგების შესახებ, მმართველი გუნდი ყურად არ იღებს.

- იმიტომ, რომ მათი მტკიცებულებები ძალიან ზედაპირულია, როგორც კი ღრმად ვიკვლევთ, არაფერი რჩება ამ ბრალდებებისგან. ყველა ვხედავთ, როგორი დესტრუქციულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ქმედება, სიტყვით გამოსვლაც კი. ამიტომ ამ პარტიასთან აფილირებული და ნარატივში მყოფი ძალები ვერ მიაღწევენ ვერანაირ კონსოლიდაციას „ნაციონალურ მოძრაობაში“ გათქვეფის გარდა.

- პარლამენტში საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბებაზე რას იტყვით, რამდენად აუცილებელია?

- არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. რომელი კომისიაც უნდა შეიქმნას, ფაქტების მიხედვით ვერაფერს დაამტკიცებს. ჩვენ ყველა ყველაფერს პირდაპირ ეთერში ვუყურებთ და არ გვრჩება კითხვის ნიშანი სასამართლო თუ საგამოძიებო უწყებებთან. ახლა მითხარით, იმ კომისიამ რა უნდა გამოიძიოს? ეს კიდევ ერთი სცენარია, ატყდეს აჟიოტაჟი და საზოგადოების ყურადღება მიიზიდონ სააკაშვილის ირგვლივ მიმდინარე პროცესებისკენ, ანუ ქვეყნის მესამე პრეზიდენტის თითქოს და უდანაშაულოდ გასამართლებაზე.

- ბევრს ამაში მართლაც ეპარება ეჭვი.

- არ მგონია, ბრმა არავინაა და საზოგადოებამაც იცის, რაც დააშავა სააკაშვილმა. პირიქით, მას უფრო ნაკლებს ედავებიან, რადგან განადგურებული აქვთ მტკიცებულებები. ჩვენც არ უნდა ავყვეთ „ნაციონალების“ მანიპულაციას. მივიღოთ ეს ადამიანი რიგით ბრალდებულად, პატიმრად, რომელმაც უნდა მოიხადოს სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელი. ის არ უნდა ასოცირდებოდეს ოპოზიციური სპექტრის მთავარ ფიგურად. გვაქვს უამრავი საქმე, რასაც სჭირდება სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მიზანდასახული პოლიტიკის შემუშავება.

- რას იტყვით უკრაინის მიმართ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერაზე?

- არსებობს რეზოლუცია, რომელიც მიიღო უმრავლესობამ და პარლამენტმა. ვინც გაეცნო ამ ტექსტს, აღიარა, რომ მასში დევს უკრაინის მხარდასაჭერი ურყევი და მართალი პოზიცია. საუბარია სამოქალაქო საზოგადოებასა და იმ პარტნიორ ქვეყნებზე, რომლებიც ჩვენს გვერდით დგანან. თავად უკრაინამაც დიდი მადლობა გადაგვიხადა ამ რეზოლუციისთვის. ყველამ კარგად იცის, რომ უკრაინისთვის ერთადერთი საფრთხე რუსეთია. შესაბამისად, ვფიქრობ, ამ რეზოლუციაში გამართულად არის გაწერილი ყველა ის პუნქტი, რომელიც შეესაბამება დღევანდელ პოლიტიკურ და მილიტარისტულ ვითარებას უკრაინაში. ამიტომ, ჩაიწერა თუ არა ოპოზიციის მიერ გაპროტესტებული წინადადება, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ისევ და ისევ, ჭიქაში დატრიალებული მორიგი, მათთვის ჩვეული ქარიშხალია.

იხ. მე-7 გვ.

> *„ყვირიან - ჩვენ არ ვართ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივი, არ ვართ შეკრული, მაგრამ ყველა ხედავს იგივე საკრებულოებში, რომ ნაბიჯსაც ვერ დგამენ „მათ“ გარეშე. ბათუმის საკრებულოშიც გამოჩნდა, „ლელოს“ და „საქართველოსთვის“ პარტიების წევრები რა გზასაც დაადგნენ. არც ერთს არ უხსენებია ის დამოუკიდებლობა, ხმამაღლა რომ აცხადებენ*

უცხოეთი

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, უპრიანი იქნება, გერმანიაში მცხოვრები რუსი ოლიგარქებისთვის ქონების კონფისკაცია, - ამის შესახებ ბუნდესტაგის წევრმა ალექსანდრ ლამბსდორფმა განაცხადა. პარლამენტარის თქმით, ზოგიერთი რუსი უზარმაზარ ქონებას ფლობს ბერლინში. ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს. ლამბსდორფმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში იქნება „ევროპასთან მისი ურთიერთობის დასასრულის“ მანიშნებელი. თავის მხრივ, კრემლში კვლავ აცხადებენ, რომ უკრაინელებსა და რუსებს შორის ომზე ფიქრიც კი მათთვის მიუღებელია.

* * *

პოლონეთმა უკრაინელი ლტოლვილების მისაღებად მზადება დაიწყო იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთი მეზობელ ქვეყანას თავს დაესხმება. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს. პოლონეთის ხელისუფლებამ ადგილობრივ ხელმძღვანელებს ლტოლვილთა განსათავსებლად ობიექტების სიის მომზადება დაავალა. აქცენტი კეთდება პანსიონატებზე, დასვენებისა და სასწავლო ცენტრებზე, საერთო საცხოვრებლებზე, სასტუმროებსა და სხვადასხვა ტიპის დარბაზებზე, როგორიცაა გასართობი, სპორტული და საგამოფენო სივრცეები. „პრიორიტეტულია ისეთი ობიექტები, რომლებიც შეძლებენ ლტოლვილთა მიღებას არა უგვიანეს 48 საათში“, - აღნიშნა მაზოვიეცის საგუბერნიოს თავკაცმა.

* * *

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში აცხადებს, რომ თუ ევროკავშირი გააძლიერებს უნგრელებზე ზეწოლას, მათი გზები გაიყრება. ორბანმა ევროკავშირი „წმინდა ომის“ წარმოებაში დაადანაშაულა. ინფორმაციას „ნეზავისიმაია გაზეტა“ ავრცელებს. გამოცემასთან საუბარში ექსპერტები აცხადებენ, რომ მმართველი პარტიის ლიდერი ქვეყანაში პოპულარულია სწორედ, როგორც ბუდაპეშტის ინტერესების დამცველი ბრიუსელთან მიმართებაში, თუმცა ევროკავშირის დატოვებას სერიოზულად არავინ განიხილავს, რადგან ასეთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზარალოს ქვეყნის ეკონომიკა.

* * *

თუ კიევი გადაწყვეტს, უარი თქვას ნატოს წევრობაზე, დიდი ბრიტანეთი მას მხარს დაუჭერს, - განაცხადა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯეიმს ჰიპიმ. ინფორმაციას „სკაი ნიუსი“ ავრცელებს. „არცერთმა დიპლომატიურმა გადაწყვეტილებამ, რომელსაც კიევი მიიღებს, არ უნდა დააზარალოს ქვეყნის სუვერენიტეტი, მაგრამ თუ უკრაინა გადაწყვეტს, რომ არ გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ჩვენ ამას მხარს დავუჭერთ. გადაწყვეტილება უკრაინის ხელისუფლების მისაღებია“, - აღნიშნა მან. მანამდე, უკრაინის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ვადიმ პრისტაიკომ „ბი-ბი-სის“ შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, უკრაინამ კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩრდილოატლანტიკურ კურსზე უარი განაცხადოს, უპასუხა, რომ გამოსავლის პოვნის მიზნით ამჯობინებენ ამ საკითხში მეტი მოქნილობა გამოიჩინონ, ამასთან, დასძინა, რომ ალიანსისკენ სწრაფვა ქვეყნის კონსტიტუციაშიც არის ჩაწერილი.

რამდენია 33-ის ნახევარზე მეტი?

ანანო ტაბიძე 27 48 93

2 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება. ამომრჩევლები საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარს რუსთავში აირჩევენ, ბათუმში კი საკრებულოს მაჟორიტარს

შუალედური არჩევნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმისთვის, რადგან საკრებულოს დაკომპლექტება ამ დრომდე ვერ ხერხდება. ხმათა საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ საკრებულოს თავმჯდომარე აირჩიონ, არც პოზიციას აქვს და არც ოპოზიციას. შუალედური არჩევნების ჩატარების აუცილებლობა საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებამ გამოიწვია. ოპოზიციურმა პარტიამ გადაწყვიტა, ბათუმის საკრებულოში მოსახვედრად გარდაცვლილი დეპუტატის შვილმა მათე ფუტკარაძემ იბრძოლოს.

- ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ 2 აპრილს დადასტურდება, იმარჯვებს თუ არა სიკეთე ბოროტებაზე. ეს არჩევნები გაცილებით დიდია, ვიდრე მაჟორიტარული, რიგითი არჩევნები, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ და იქვე დასძინა, რომ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ნუგზარ ფუტკარაძის ვაჟი მათე ფუტკარაძე იქნება.

ნიკა მელია დარწმუნებულია, რომ 2 აპრილის შუალედურ არჩევნებში მათე ფუტკარაძე გაიმარჯვებს.

- მინდა, საზოგადოებას წარვუდგინო ნუგზარ ფუტკარაძის ვაჟი, მათე ფუტკარაძე, ადამიანი, რომელიც იმ ბრძოლაში შედის, სადაც მამამ გაიმარჯვა, იქ, სადაც მამამ თვეების განმავლობაში კარდაკარ იარა და პირველ ტურშივე მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება. ჩვენ, ნუგზარ ფუტკარაძის მეგობრები, ამ ბრძოლაში მათე ფუტკარაძეს მივყვებით. ამით გვინდა დავამტკიცოთ და აუცილებლად დავამტკიცებთ, რომ შანტაჟი, მოსყიდვა, ძალადობა და ვერც სიკვდილი გაიმარჯვებს სამართლიანობაზე. როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ 2 აპრილს ღირსება გაიმარჯვებს. როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, რომ მათე ფუტკარაძე გაიმარჯვებს და კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაუჭერს მხარს, ვიდრე ცხონებულ ნუგზარ ფუტკარაძეს, რომელიც დღეს ჩვენთან მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ბათუმში არჩევნები წააგო. გაყალბებული და ძალადობრივი არჩევნების შედეგადაც კი ოპოზიციამ - 19, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ 16 მანდატი მოიპოვა. ამის შემდეგ რა გააკეთეს? ერთი ადამიანი გადაიბირეს და ერთი ადამიანი ზეციურ საქართველოში გაისტუმრეს, მაგრამ 2 აპრილს, ნუგზარ ფუტკარაძისა და ათასობით ამომრჩევლის მიერ ამ ოჯახის ღირსება, მომავალი და რეპუტაცია დაცული იქნება. კანდიდატის წარდგენა ჩემთვის ასეთი ამაღელვებელი არასდროს ყოფილა. პირადად მე და ყველა, ვინც აქ ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანობაზე წარმოდგენა არ დაეკარგოთ ბავშვებს და ახალგაზრდა თაობებს, - განაცხადა ნიკა მელიამ.

2 აპრილის შუალედურ არჩევნებზე გამარჯვებისთვის „ქართული ოცნებიდან“ რამაზ ჯინჭარაძე იბრძოლებს, რომელსაც აქამდე აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი ეკავა.

ბათუმში ოპოზიცია ირწმუნება, რომ მოსახლეობის დაკვეთაა ოპოზიციური საკრებულო, თუმცა ეს რომ რეალობასთან ახლოს იყოს, ამ დრომდე დააკომპლექტებდნენ საკრებულოს. საკრებულო სრულფასოვნად, ბათუმის გარდა ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე მუნიციპალიტეტში ვერ ფუნქციონირებს. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევას წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა სჭირდება, თუმცა, სენაკში, საკრებულოს 33 წევრიდან 16-მა მიიღო გადაწყვეტილება და თავმჯდომარეც აირჩიეს 9 თებერვალს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, „გახარიებთან“ ერთად, მსოფლიო სამართლის სტანდარტის ახალ გადაწყვეტას გვთავაზობენ, - ასეთია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის მამუკა მდინარაძის პოზიცია.

> ***„...ანუ ერთი ადამიანი რომ შეიპაროს საკრებულოში და საკუთარ თავს უთხრას, სხდომას ვაგრძელებო, მათი ლოგიკით, ესე იგი სხდომა გაგრძელდება, ეს ადამიანი გაიტანს საკითხებს, იმსჯელებს, თავის თავს მოუწოდებს რაღაცისკენ, აქეთ, იქით, შემდეგ, კენჭისყრა რომ დასჭირდება, 10 ადამიანს დაიმატებს და გადაწყვეტილებებსაც მიიღებს - წარმოუდგენელი აბსურდია***

მისივე თქმით, ოპოზიცია სენაკის საკრებულოში მომხდარის გამართლებას ცდილობს, თუმცა „უარესი საოცრება“ ითქვა.

- სენაკში იმ საოცრების გასამართლებლად, რაც დასაწყისში გააკეთეს, „უარესი საოცრება“ თქვეს, ანუ პირველი სხდომა გრძელდებოდაო. აქ ერთი იურიდიული ნიუანსია, პირველი სხდომა თუ გრძელდებოდა, მაშინ უფლებამოსილების ცნობას ცნობად მიღება კი არა, კენჭისყრა უნდა, ეს ერთი. მეორე - რა გამოდის, რომ მსოფლიოში ახალი პრაქტიკა მკვიდრდება, რომლის თანახმად, კვორუმი საჭირო არ არის და ერთ და ორ ადამიანსაც შეუძლია, გააგრძელოს სხდომა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, 11 ადამიანს შეუძლია გადაწყვეტილებები მიიღოს. ანუ ერთი ადამიანი რომ შეიპაროს საკრებულოში და საკუთარ თავს უთხრას, სხდომას ვაგრძელებო, მათი ლოგიკით, ესე იგი სხდომა გაგრძელდება, ეს ადამიანი გაიტანს საკითხებს, იმსჯელებს, თავის თავს მოუწოდებს რაღაცისკენ, აქეთ, იქით, შემდეგ, კენჭისყრა რომ დასჭირდება, 10 ადამიანს დაიმატებს და გადაწყვეტილებებსაც მიიღებს - წარმოუდგენელი აბსურდია. კიდევ უფრო სერიოზულად რომ ვთქვათ და ამაზე არ ვიხუმროთ, მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, სადაც კვორუმს არ აღიარებენ. კონკრეტული ორგანო გადაწყვეტილებისუნარიანია მაშინ, როდესაც კვორუმი არის. ეს კვორუმი არის კანონით დადგენილი ნახევარზე მეტი. ახლა რომ ლაპარაკობენ, პირველი სხდომა გრძელდებოდა და ა. შ. გრძელდებოდა რა, ფუნთუშის საჭმელად ხომ არ გავიდნენ და შემდეგ დაბრუნდნენ? იმასაც არ შეიძლება, მხოლოდ ერთი, ორი ან ხუთი ადამიანი ესწრებოდეს, ხომ? უფლებამოსილი რომ იყოს სხდომა, ამას სჭირდება კვორუმი და ამ მსოფლიო სამართლის სტანდარტის ახალ გადაწყვეტას გვთავაზობენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები „გახარიებთან“ ერთად, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ბოლო პერიოდში გიორგი გახარიას პარტია აქტიურად უჭერს მხარს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგ გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, მათ კოალიციაზეც აქტიურად საუბრობენ, თუმცა, პარტია „საქართველოსთვის“ კატეგორიულად უარყოფს „ნაციონალებთან“ თანამშრომლობას. ეს ის შემთხვევაა, როცა ფიცი გწამს და ბოლო გაკვირვებს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლობა და ლიდერშიპი ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, რაც არ უნდა ეცადოს, რომ რაღაც კოალიციურ ალიანსში დაადანაშაულოს ჩვენი პოლიტიკური პარტია რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან, ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, - აცხადებს „საქართველოსთვის“ წევრი ბერდია სიჭინავა.

- სენაკის მუნიციპალიტეტში მარტივი მოცემულობა გვაქვს, ამ პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შევთავაზეთ, გამოცხადებულიყვნენ საკრებულოს სხდომაზე და ჩვენს უპირობო მხარდაჭერას მიიღებდნენ, თუმცა, რეალურად, სენაკელი ამომრჩევლის და მოსახლეობის ინტერესი კი არ არის „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი, არამედ ის, რომ ამ მუნიციპალიტეტში არ დაუშვას ერთპიროვნული და ერთპარტიული ძალაუფლება. შესაბამისად, ისინი ყველაფერს აკეთებენ. ძალიან ნიშანდობლივი იყო ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ სურთ ამ მუნიციპალიტეტში უმრავლესობის ფორმირება, რაც, ბუნებრივია, გამორიცხულია კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკების გარეშე. ამ ყველაფერს არ აქვს ის მიზანი, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან მოლაპარაკების შედეგად შეიქმნას სენაკის მუნიციპალიტეტში „ქართულ ოცნებასთან“ უმრავლესობა. ეს არის იმ მეთოდების გაგრძელება, რომელიც დაგვიანონსა ირაკლი კობახიძემ ჯერ კიდევ საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ, მაშინ, როდესაც რამდენიმე მუნიციპალიტეტში „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა ერთპარტიული და ერთპიროვნული ძალაუფლება. ეს არის ადამიანების არჩევანის ქურდობა, იმ მოქალაქეების არჩევანის ქურდობა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ამ მუნიციპალიტეტებში უმრავლესობა არ უნდა ჰქონდეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის, „ქართულ ოცნებას“, - განაცხადა ბერდია სიჭინავამ. მისივე თქმით, ყველაფერს გააკეთებენ, რათა პოლიტიკურ ძალთა შორის ბალანსი დაცული იყოს.



- კარგად დავინახეთ ის მეთოდები, „ქართული ოცნება“ როგორ ებრძვის და იპარავს ადამიანების მიერ მიცემულ მანდატებს სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან. გავიხსენოთ ბათუმის შემთხვევა, სადაც ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ასევე, ჩვენი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი პირდაპირ მოისყიდეს და პირდაპირ იყიდეს მანდატი ირაკლი თავდგირიძის სახით. ერთერთ მუნიციპალიტეტში ჩვენს წარმომადგენელს 200 000 ლარს სთავაზობენ იმისთვის, რომ გადავიდეს „სწორ პოზიციაზე“ და ამისთვის ჰპირდებიან, რომ ირაკლი კობახიძეც კი დაელაპარაკება ამ ადამიანს. საინტერესოა, საიდან მოდის ეს შავი ფული. მიუხედავად ამ მცდელობებისა, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ პოლიტიკურ ძალთა შორის ბალანსი იყოს დაცული ამ მუნიციპალიტეტებში და მეორე, ამ მუნიციპალიტეტებში არ იყოს კრიზისი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს აქ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებზე. შესაბამისად, ჩვენი პრინციპი არის ღია, მარტივი და გამჭვირვალე. შევთავაზეთ კიდეც „ოცნების“ წარმომადგენლებს, მოსულიყვნენ და უპირობო მხარდაჭერას მიიღებდნენ ჩვენგან. სამწუხაროდ, რეალურად არ აღმოჩნდნენ იმ სიმაღლეზე, რომ თავიანთი ვიწროპარტიული და ერთპარტიული ძალაუფლების შენარჩუნების ინტერესები გადაედოთ და წინ დაეყენებინათ ამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების ინტერესები. ამ ყველაფერს ახალისებს ირაკლი კობახიძის და იმ პოლიტიკური პარტიის აქტივის განცხადებები, რომლებიც თითქოს სპეკულირებენ იმის შესახებ, რომ მათემატიკა არ ვიცით. რეალურად, „ქართული ოცნების“ მათემატიკა არის ის, რაც შემოგვთავაზეს არჩევნების შემდგომ პერიოდში - გაზრდილი გადასახადები, ინფლაციის 14-პროცენტიანი მაჩვენებელი, გაზრდილი კომუნალური გადასახადები. ეს არის თქვენი მათემატიკა. ამ ადამიანებს მათემატიკასაც ვასწავლით და იურიდიულ ნიუანსებსაც, რაზეც ასე უსინდისოდ იტყუებიან., - განაცხადა ბერდია სიჭინავამ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე კი აცხადებს, რომ მმართველი პარტია სენაკის საკრებულოში უმრავლესობის მოსაპოვებლად მუშაობს.

- სხდომის გამართვას და გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება ნახევარზე მეტი, 33-ის ნახევარზე მეტი არის 17 და „ნაცმოძრაობისა“ და გახარიას ალიანსი ამტკიცებს, რომ ეს არის არა 17, არამედ 16, ანუ მარტივ მათემატიკურ უცოდინრობასთან გვაქვს საქმე, თუმცა, სინამდვილეში, მათ მათემატიკა ძალიან კარგად იციან, რეალურად, იმდენად დიდი ჰქონდათ კოალიციის შეკვრის წყურვილი სენაკშიც, რომ ვერ გაუძლეს ცდუნებას. ეს არის რეალური მოცემულობა, შესაბამისად, ეს არის რეალობა, რომელიც არის სენაკშიც და სრულიად საქართველოში. დღეს არ ჩანს უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობა, როგორც კი ეს შესაძლებლობა გაჩნდება, მაშინვე მივიღებთ მონაწილეობას სენაკის საკრებულოს სხდომაში. ჩვენი მიზანია საკრებულოში უმრავლესობა და ამაზე ვმუშაობთ აქტიურად. რაც შეეხება ზუგდიდს, ვნახოთ, ჩვენთვის მთავარია, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში იყოს უმრავლესობის მუშაობის შესაძლებლობა. როგორც კი ამას დავინახავთ, მონაწილეობას მივიღებთ საკრებულოს სხდომაში, - განაცხადა კობახიძემ.

„რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებას სწრაფი, კოორდინირებული და ქმედითი პასუხი მოჰყვება“

„დიდი შვიდეულის“ ფინანსთა მინისტრები რუსეთს აფრთხილებენ, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში მას ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებს დაუწესებენ, რომლებიც რუსეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად და მყისიერად აისახება.



„უკრაინის საზღვრებზე რუსული სამხედრო ძალების მობილიზება სერიოზული შეშფოთების მიზეზია. ჩვენ - „დიდი შვიდეულის“ ფინანსთა მინისტრები ხაზს ვუსვამთ, რომ მზად ვართ ვიმოქმედოთ სწრაფად და გადამწყვეტად უკრაინის ეკონომიკის მხარდასაჭერად“, - ნათქვამია ფინანსთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაში.

მათი მტკიცებით, რუსეთის მიერ ნებისმიერ შემდგომ სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ „სწრაფი, კოორდინირებული და ქმედითი პასუხი მოჰყვება“.

„მზად ვართ ერთობლივად დავაწესოთ ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, რომლებიც რუსეთის ეკონომიკაზე სერიოზულად და მყისიერად აისახება“, - აღნიშნულია განცხადებაში.

შუშანა ფუტკარაძე – 80

სამშობლოს, სიკეთის, სიყვარულის მსახური

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 80 წლის იუბილეს ულოცავს ემერიტუს-პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს და უსურვებს ჯანის სიმრთელეს, წელთა სიმრავლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას

ქალბატონი შუშანა დაიბადა 1942 წლის 15 თებერვალს, შუახევის რაიონის სოფელ ლომანაურში. 1959-1964 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1978 წელს მიენიჭა ფილოლოგიის კანდიდატის, ხოლო 1999 წელს - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1964 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2002 წლიდან ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

ნაყოფიერი და მრავალმხრივ გამორჩეულია ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ინტერესთა სფერო. ის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეების - აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიასა და მეტყველებას იკვლევს. მან, ნიკო მარის მოგზაურობის შემდეგ, პირველმა მოინახულა ჩვენი ძირძველი კუთხე - ტაო-კლარჯეთი, ჩაიწერა თემატურად მრავალფეროვანი დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მასალა. ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოყო იმერხეული, ტაოური, ნიგალური და ზედა მაჭახლური. აღნიშნულ საკითხს ეხება სამეცნიერო წრეებში აღიარებული მისი მონოგრაფია - „ჩვენებურების ქართული“, I-II ტომი, რომელიც თავისი აქტუალობით სამაგიდო წიგნებადაა ქცეული. დიახ, ქალბატონი შუშანას ტკბილქართულმა გაუთბო გული საზღვრის მიღმა დარჩენილებს, ქართული სიტყვის ლაზათს ნატრულებს და არც ისაა შემთხვევითი, „ჩვენი თამარა დოდოფალიო“, ასე რომ ესიყვარულებიან მას.

ყოველივე ამასთან ერთად, ქალბატონი შუშანა თურქეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარიცაა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შესწავლილია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკა და არქივი. ამ კვლევის შედეგები ასახულია მისი თანაავტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, I-II ტომი. აღნიშნული სავანის კვლევას ეხება ასევე მისი მონოგრაფია „სტამბოლის ქართული სავანე“, რომელიც ქართულ და თურქულ ენებზეა გამოცემული („Istanbulgurcuocagi“).

სწორედ, სტამბოლის ქართულ სავანეში ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოაჩინა არაერთი ისტორიული პიროვნების ვინაობა. კერძოდ, შავშეთელი მოღვაწე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმშენებელი გიორგი ჯვარელი, შავშეთელი პოეტი, შოთა რუსთაველის თანამედროვე იოანე შავთელი, მართა იერუსალიმელი, წმ. თევდორე აჭარელი, ახმედ და აბას ათაბაგები. ეს მისი დიდი სამეცნიერო საქმიანობის მცირე ჩამონათვალია.

ქალბატონი შუშანა თავისი ცხოვრების წესით, საქმიანობით, სიტყვით, საქმით ეროვნულ საქმეს, სამშობლოს, სიკეთეს, სიყვარულს ემსახურება. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ მისი ნათლიაა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

დიახ, მისი კალმის აწონილ-მოზომილი მოსმა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი კუთხისა და ჩვენებურების, „გაღმა დარჩენილ“ ქართველთა პრობლემების საკითხებითაა ნასაზრდოები. მისი შემოქმედებითი ნამოღვაწარი სამშობლო ქვეყნის სიყვარულის დასტურია, მისი ნაწერი კი, თამამად შეიძლება ითქვას, „განძად დარჩების“.

ერთია, იყო აღიარებული მეცნიერ-მკვლევარი და მეორე, იყო კარგი ადამიანი. ქალბატონი შუშანა პიროვნული ღირსებით, ადამიანური დიდბუნებოვნებით, სიდარბაისლით, კდემამოსილებით გამორჩეული მანდილოსანია.

უფალმა დალოცოს და კიდევ დიდხანს ეღვაწოს ერისა და უფლის სამსახურში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

„მხოლოდ ქართული სიტყვა ვიწამე“

დიდია ჩვენებურების დედოფლის შუშანა ფუტკარაძის ღვაწლი ქართული ენათმეცნიერებისა და ჩვენი მრავალ ჭირვარამგადანახადი აჭარის წინაშე. მეროჭიკე ბერივით შემოიარა ჩვენი კუთხე, ჭოროხს გაღმა დარჩენილი ტერიტორია, რომელსაც ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, დღეს, სამწუხაროდ, ოსმალოს საქართველო ჰქვია. „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენის“ საუნჯე მოიძია და ქართველ ხალხს დაუბრუნა უნიკალური წიგნით „ჩვენებურების ქართული“. ჩვენი წმინდა მამების ნაფეხურებიან მიწას კრძალვით მიეახლა. მუხლი მოიყარა წმინდა სალოცავების წინაშე, რომელიც რუდუნებით ააშენეს, დაუნთო სანთელი წმინდა მამებს, გრიგოლ ხანძთელს, საბა იშხნელს, თედორეს - წმინდა ნეძვის მაშენებელს და ქრისტეფორეს - წმინდა კვირიკეს მაშენებელს, ხანძთის მონასტრის - აწყურის ეპისკოპოსს, რომელმაც ქართლში მირონის კურთხევის განწესებას დაუდო სათავე, კათოლიკოს არსენს და ამ წმიდა მიწაზე მოღვაწე, სახელიან და უსახელო ბერ-მონაზვნებს, რომლებმაც ტაო-კლარჯეთის უდაბნოში ქალაქთმშენებლობას დაუდეს სათავე, რომელნიც თავიანთი თავდაუზოგავი ღვაწლით საქართველოს მომავალს ამზადებდნენ. მერე თვალცრემლიანი მიუყვებოდა გზას მუჰაჯირებით დასახლებული ხეობების სოფლებში ჩვენებურებთან. ჩაიწერა არა მარტო თქმულებები და ზეპირსიტყვიერების მარგალიტები, არამედ მათი წინაპრების თავგადასავალი - მუჰაჯირობის დასაწყისში სულით ძლიერებმა როგორ აიტანეს სიცივე, შიმშილი, ჭაპანწყვეტით აითვისეს დაუსახლებელი სოფლები და როგორ აქციეს უძველესი ქართული მიწა წალკოტად. როგორ შეინარჩუნეს მშობლიური ენა.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვები არაერთგზის მსმენია სკოლის წლებში ხულოს რაიონის ალექსანდრე ქონიაძის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებლებისგან, ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ასე ახლოს გავიცნობდი, ის გახდებოდა არა მარტო ჩემი უსაყვარლესი ლექტორი, არამედ უფროსი მეგობარი.

1962 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსელებს გვითხრეს, ქართულ ენაში ახალი ლექტორი გეყოლებათ - შუშანა ფუტკარაძე... იღება აუდიტორიის კარი, შემოდის ლამაზი ქალბატონი, სახეზე ღიმილი დასთამაშებს. გაცნობამ კარგად ჩაიარა. თითოეულმა ჩვენგანმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელმა, იგრძნო აჭარის მთიდან გამოყოლილი სითბო. ის სულ მალე ჩვენი გულის მესაიდუმლეც გახდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა პოეზიის საღამოები, რომელსაც ჩვენს საყვარელ მეცხრე აუდიტორიაში ვატარებდით.

ყველაზე დიდი პროფესია მისი ადამიანობა გახლავთ - კეთილი გულით გვათბობდა სიკეთის უანგაროდ გამცემი. ჩვენი სიხარულით, წარმატებით ხარობდა, მოითხოვდა არა მარტო მისი საგანი შეგვესწავლა სიღრმისეულად, არამედ ყველა, რომელიც ისწავლებოდა. ყველას მხსნელი, მაშველი რგოლი, მალამო იყო. სხვისი სიხარულით ტკბობის უნარი ბედნიერს ხდიდა...

2003 წელს შევხვდით ხულოში. გაიხარა, თვალხატულა გოგო-ბიჭებმა მისი მონოგრაფიისადმი „ჩვენებურების ქართული“ მიძღვნილი ქართველ მეცნიერთა შეფასებები თუ ლექსები რომ წაიკითხეს. მიუხედავად იმისა, რომ დამსახურებულად ეკუთვნოდა ქება მის ნაშრომს, თვალებს ხრიდა, სახეზე ალმური ედებოდა, რაც მისი უდიდესი თავმდაბლობის და მოკრძალების გამოხატულებაა. ესეც მან გვასწავლა „ადამიანი ვალდებულია მადლიერი იყოს მისი, ვინც მას ცხოვრებას ასწავლის“. მადლიერებამ გადამაწყვეტინა გამეხსენებინა სტუდენტობის ბედნიერი წლები.

შრომით, ნიჭით გამორჩეულო, ჩვენი მთის სიამაყევ, მადლიერებით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს იცოცხლეთ, არ მოგკლებოდეთ მადლიან თვალთა მზერა. მწამს, წლებს არ შეეპუებით, ქართულ ენათმეცნიერებას შემატებთ ახალ ნაშრომებს.

ეთერ დეკანაძე,
ხულოს მუნიციპალიტეტის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლის პედაგოგი

ღვაწლმოსილ მეცნიერს ვულოცავთ!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ემერიტუს პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ ენათმეცნიერს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 55 წელი შეუსრულდა. ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე წლების მანძილზე იკვლევდა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების - აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, აქაურთა ქართულ მეტყველებასა და დიალექტებს, უცხოეთში (კერძოდ, თურქეთში) არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა და აღიწერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 83000 ერთეულით და 10000 -ზე მეტი ერთეულის მქონე ამავე სავანის არქივი. მისი ავტორობით შეიქმნა ორი მონოგრაფია: „ჩვენებურების ქართული“ და „სტამბოლის ქართული სავანე“. შუშანა ფუტკარაძე არის ბათუმის, ასევე, ხულოსა და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქე, წმ. ტბელ აბუსერისძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია გევონდ ალიშანის საპატიო მედლით და სხვადასხვა უწყების მიერ გაცემული საპატიო სიგელებით.

აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო ულოცავს ქალბატონ შუშანას იუბილეს! ჯანმრთელობას და დღეგრძელობას უსურვებს. კიდევ დიდხანს გეღვაწოთ ჩვენი კუთხის და ქვეყნის სამსახურში.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამაგალითო, მისაბაძი მეცნიერი

უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით ვულოცავ მეცნიერს, პედაგოგს, აღმზრდელს, ჩემს უფროს მეგობარსა და ღირსეულ ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს დაბადებიდან 80, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლის იუბილეს

მრავალი წელი მაკავშირებს ქალბატონი შუშანას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან. იყო ჩემი ლექტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი. მისი ყოველი დილა, საქმიანი ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მხარისა თუ მემლექეთს მიღმა დარჩენილ ჩვენებურებზე ზრუნვითა და სიყვარულით იწყება. ქალბატონმა შუშანამ მრავალი წელი ღირსეულად იარა ნიკო მარის, გიორგი ყაზბეგის ექვთიმე თაყაიშვილის და სხვა ქართველ მოგზაურ-მკვლევართა ნაკვალევზე. ამიტომაცაა, რომ დღეს თურქეთში მცხოვრები ძირძველი თუ მუჰაჯირი ქართველობა დიდი სიამაყით ინახავს და უფროთხილდება ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის სახელს. სწორედ ამის გამოა, რომ მან სამართლიანად დაიმსახურა ჩვენებურების დედოფლის საპატიო სახელი. ამიტომაც მისაბაძი და სამაგალითოა მისი მეცნიერული კეთილსინდისიერება.

2010 წელს, ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, განვახორციელეთ ათდღიანი საველე ექსპედიცია მის მშობლიურ მარეთის ხეობაში. იქ პირველად ვიგრძენით, დავინახეთ თუ როგორი პატივისცემითა და რუდუნებით ეფერებოდა მთელი სოფელი, ხეობა შუშანა ფუტკარაძეს.

მქონდა ბედნიერება, დამეწყო მუშაობა და საკუთარი თვალით მენახა სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული უნიკალური საგანძური, რომლის გადარჩენაც ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ვიცით, რომ მას ჯერ კიდევ ძალზე ბევრი ჩანაფიქრი, გასაკეთებელი აქვს. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ვუსურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას. ველოდებით ახალ წარმატებებს შემდგომ მეცნიერულ საქმიანობაში.

როინ მალაყმაძე
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

დიდქართველო

ძღვნად - შუშანა ფუტკარაძეს

რა ხანია არ უვლია ქართველს,
ექვთიმეს და ნიკო მარის გზებზე...
ისევ დაი შუშანიკი, თორემ
რაც დავკარგეთ, აღარავინ ეძებს.
ჰქონდა ხილვა ოპიზას და ბანას -
თითქოს ჭერქვეშ მოუმრავლდათ მრევლი,
უფლისა და ღვთისმშობელის ხატებს,
დაეწვეთათ მზეჩამდგარი ცრემლი.
რაც სათქმელი დამიგროვდა სულში,
როგორ იტყვის ეს უბრალო ლექსი,
ეფერება ჩვენებურთა ქართულს,
მართლა სისხლით დაი ლაზარესი.
ამ სტრიქონებს ზეცა სუფლიორობს,
თანაც სულის ნაღვერდალზე თბება,
«ოქროსთმიან გოგონაზე» მითებს,
ბანი მისცეს არსიანის მთებმა.
ისევ დაი შუშანიკი, თორემ
რაც დავკარგეთ, აღარავინ ეძებს...
დიდქართველო, ქანდაკივით ჩანხარ,
ექვთიმეს და ნიკო მარის გზებზე.

სიყვარულით
ცისანა ანთაძე

«ულირს საქციელს საკუთარი ოჯახის წევრსაც ვერ ვპატიობ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ემზარ აბაშიძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრია. 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებზე მან კენჭი დღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში იყარა და ძლიერი კონკურენციის ფონზე გაიმარჯვა. ხალხის რჩეული «აჭარასთან» ამომრჩეველთა პრობლემებსა და წინადადებებზე საუბრობს.

- პოლიტიკურ სარბიელზე წარმოქმნილ პრობლემებს, სტიქიით მიყენებული ზიანიც დაერთო. ბუნებამ უხვთოვლიან ზამთრებს გადაგვაჩვია. სოფელში მამაპაპური თხილამური და წიფლისგან გამოთლილი ნიჩაბი სამუზეუმო ექსპონატებად იქცა, არადა წელს საჭირო გახდა. საფრთხე შეექმნა ქიძინიძეების ადმინისტრაციულ შენობას. სახურავი თოვლისგან რომ გავათავისუფლეთ, შენობა მთლიანად თოვლში ჩაეფლო. მოსახლეობის თანადგომით კვიახიძეებში, გოგინაურში, ლომანაურში, დღვანსა და ქიძინიძეებში საცხოვრებელი სახლები, დამხმარე ნაგებობანი, სკოლები, საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტები დაზიანებას გადაურჩა. კვიახიძეებსა და ქიძინიძეებში თოვლის სიმაღლე 3 მეტრს აღწევდა. ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ გადმოვხვეტეთ სახურავიდან თოვლი. სამწუხაროდ, სოფლებში შრომისუნარიანი კონტინგენტი აღარ დარჩა. ხუთიდან სოფელში 100-ზე მეტი სახლი გამოკეტილია, ბევრგან 70 წელს გადაცილებული, უმწეო მოხუცები ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ცხოვრობენ.

აქამდე ზვავების ჩამოწოლის საფრთხე ნაკლები იყო, ახლა 25-30 სანტიმეტრი თოვლიც საკმარისია, რომ ზვავებმა შემოგვიტიოს, თანაც იმ ფოწზე, როცა საფარ ტყეებს დაუდევრად ჩეხავენ.

- უხვთოვლობას უხვი მოსავალი მოსდევსო...

- ჩვენც ასე ვფიქრობთ, ბოლო წლებში ნალექების სიმცირემ, მთებში თოვლის ნაადრევად გაქრობამ სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტი შექმნა. ჩვენთან წყაროების უმრავლესობა ზედაპირულია. იმედია, გრილი, მოსავლიანი წელი გვექნება. ისე, დიდთოვლობამ სოფლებში ხეხილის ბაღები, კაკლის ხეები მნიშვნელოვნად დააზიანა.

- ამ ეტაპზე რა ღონისძიებებს ატარებთ?

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, აჭარის მთავრობის, ქვეყნისა და აჭარის საკანონმდებლო ორგანოების, მაჟორიტარების ჩართულობით ყველაფერი კეთდება ადამიანების მსხვერპლის, სხვა გართულების თავიდან ასაცილებლად. ვირუსმა არც ჩვენი მოსახლეობა დაინდო. საბედნიეროდ, სიკვდილიანობა სტიქიის შემოტევის პერიოდში არ გვქონია. მძიმე ავადმყოფები ექიმებს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟს, ახლობლებს, დათოვლილი უბნებიდან ახლაც გამოჰყავთ. კრიტიკული სიტუაცია გვქონდა სოფელ გოგინაურში, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. თოვლის საფარისგან იწმინდება ქიძინიძეებში, შორეულ კვიახიძეებში, ცალკეულ უბნებში მისასვლელი გზები. სტიქიამ დაგვანახა, რომ არსებული ტექნიკა მოძველებულია, თანაც ზამთრის პირობებში მისი გამოყენება სირთულეებთანაა დაკავშირებული. უნდა ვიფიქროთ თითოეულ თემში ისეთი მძლავრი ტექნიკა გვყავდეს, როგორც «შუახევიჰესის» მშენებლობის დროს იყენებდნენ. შპს «აჭარისწყალი ჯორჯიას», მშენებარე კომპანიის «აგე შენობის» ტექნიკა შუახევი-ჩირუხის გზის 20-კილომეტრიან მონაკვეთზე თოვლს არ აჩერებდა. არ მინდა მარტო უხვთოვლობის პრობლემებზე ვისაუბროთ. ყველას ვალია ხვალინდელ საქმეებს მივხედოთ. სტიქიამ ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის ნორმალურ მუშაობას საფრთხე შეუქმნა. ერთი თვეც და გაზაფხული კარს მოგვადგება. საგაზაფხულო სამუშაოებთან ერთად კონკურსში გამარჯვებული კომპანიები და ფირმები იმ პროექტების შესრულებას უნდა შეუდგნენ, რომლებიც ხუთ სოფელშია დაგეგმილი.

- რომელ პროექტს გამოყოფდით?

- სოფელ დღვანში დასასრულებელია ბაგა-ბაღის მშენებლობა, გოგინაურის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, გაგრძელდება სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, გზებზე ასფალტ-ბეტონის დაგების, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» განსაზღვრული პროექტების შესრულება. როგორც მაჟორიტარი, საკრებულოს ფრაქცია «ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს» თავმჯდომარე, საკრებულოს ხელმძღვანელობასთან, კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად, მონიტორინგს განვახორციელებთ თითოეული პროექტის ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებსა და ხარისხიანად შესრულებაზე.

- ფრაქცია «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო» საკრებულოში უმრავლესობითაა წარმოდგენილი. საკრებულოს პირველი სხდომიდან ორ თვეზე მეტია გასული. რას გვეტყვით ფრაქციის საქმიანობაზე?

- ჩვენი მუშაობა გუნდურ პრინციპზეა გათვლილი. მმართველი ბირთვი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» რიგებიდანაა არჩეული. ჩვენი რეკომენდაციით, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების თანამდებობებზე კენჭი იყარეს ავტორიტეტულმა დეპუტატებმა მალხაზ ტაკიძემ, ფატი ჭაღალიძემ, ზაზა დავითაძემ, თენგიზ ივანაძემ, ედნარ კეჟერაძემ. მათგან ფატი ჭაღალიძე, ზაზა დავითაძე და ედნარ კეჟერაძე მესამედ არიან არჩეულნი. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად რეკომენდაცია მელანო ებრალიძეს, ვახტანგ ფუტკარაძეს და მურად ქათამაძეს გავუწიეთ. მურადი წყალსაყრისა და ბარათაულის თემის მაჟორიტარია. შუბნის საჯარო სკოლის პედაგოგია მელანო ებრალიძე. პროფესიით ჟურნალისტმა, შრომითი საქმიანობა სკოლას დაუკავშირა და წარმატებული პედაგოგის სახელიც აქვს. ვახტანგ ფუტკარაძე აღმასრულებელი სტრუქტურიდან მოვიდა წარმომადგენლობით ორგანოში. გვჯერა, მისი საქმიანობა ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც ოლადაურის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულად მუშაობის პერიოდში იყო.

- საკრებულოში ოპოზიციური ფრაქცია «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა» შეიქმნა. მასთან თუ თანამშრომლობთ?

- დღემდე გამართულ სხდომებზე ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარეს და წევრებს დაპირისპირების საბაბი არ მივეცით. პირველსავე სხდომაზე უმრავლესობის კანდიდატს მათთვის მისაღები კანდიდატი დაუპირისპირეს. ოპოზიციური ფრთის 7 წევრიდან «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» კანდიდატს - «ლელო-საქართველოსთვის» პროპორციული სიით არჩეულ ზვიად დიასამიძეს უმრავლესობამ ხმა არ მისცა. ამ პარტიების ფარული შეთანხმება პირველად ჩვენთან გამოიკვეთა. ჩვენ ვინმეს არ ვუპირისპირდებით, თუმცა არაარგუმენტირებულ, თითიდან გამოწოვილ ბრალდებებს ყოველთვის საკადრის პასუხს გავცემთ.

- საკრებულოში არჩევამდე რა გზა გამოიარეთ?

- ფიზიკური შრომა არასდროს მითაკილია. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევამდე ა(ა)ია-ი «აგროსერვისცენტრის» შუახევის ხილის სანერგე მეურნეობაში ვმუშაობდი, ერთ ხანს - მშენებლობაზეც. მაქვს სოფელი, მეურნეობა, სოფლის ხელმძღვანელობაც მანდეს. მშრომელმა, ალალმართალმა ადამიანებმა კარგად იციან ხელებდაკოჟრილი მეოჯახე ადამიანის ფასი. მხარდაჭერაც აქედან მოვიდა. ადამიანებს ის ახარებთ, როცა მათთან ხარ, ჭირსა და ლხინს იზიარებ. მარტო დიპლომი არაა მთავარი.

- ორ სოფელში სასურველი მხარდაჭერა არ გქონდათ...

- მე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დღვანის თემს - ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოვადგენ. იმ სოფლებში 50-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადავლახე, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. დღვანში მშენებარე ბაგა-ბაღი ყველა ოჯახის შვილს წაადგება. გოგინაურის საჯარო სკოლაში ყველა გოგინაურელი სწავლობს. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მსურს ყველა სოფელში მოსახლეობის ინტერესები დავიცვა, მათი წინადადებები და სურვილები გავითვალისწინო. გოგინაურელ მაქსიმე გოგიტიძეს ოჯახში მძიმე ავადმყოფი რომ ჰყავდა, არც მე და არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მისი პოზიციით არ დავინტერესებულვართ. ჩვენთვის ადამიანის სიცოცხლე, მისი კეთილდღეობაა მთავარი.

- პირად ურთიერთობებში როგორი ხართ?

- პირად ურთიერთობებში დათმობაც ვიცი და სამეგობროდ ხელის გაწვდენაც, მაგრამ როცა საქმე საერთო ინტერესებს ეხება და ვიღაც-ვიღაცები ადამიანების დაცინვით, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ფონს გასვლას ცდილობენ, მათ მიმართ უკომპრომისო ვარ. უღირს საქციელს საკუთარი ოჯახის წევრსაც ვერ ვპატიობ.

- წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენიათ?

- სოფელში, ხის ბოძზე ჩემს საარჩევნო პლაკატს ვაკრავდი, კიბეზე ავცოცდი და პლაკატის შემოხვევა დავიწყე. ბოძის ღრუში კრაზანების ბუდე ჰქონიათ, დამესივნენ. ამასობაში კიბეც დაცურდა და ბოძზე ჩამოკიდებული დავრჩი. სწრაფად ჩამოვსრიალდი. კრაზანების მოგერიებაში პლაკატებიც დავხიე, არამც აურჩევიხარ, - ვთქვი და უკანასკნელი პლაკატი გაქცეულმა თავზე შემოვიხვიე.

- იუმორი გყვარებიათ.

- ემელიან აბაშიძის, ხასან თოიძის, ლევან ბათაძის, «ლიფსოს» სოფელში გაზრდილი იუმორთან მწყარალად ყოფნა ცოდვად ჩამეთვლება. ქიძინიძეებლებსა და კვიახიძეებლებს იმდენი კურიოზი გადაგვხვდა, ორ სოფელს კი არა, მთელ ქვეყანასაც ეყოფა.

- სამზარეულოში ფუსფუსი თუ გიყვართ?

- ზამთრის ცივ დილას ოჯახში ნახად არაყს და ნივრიან ხაშს, თანაც შენი ხელით გაკეთებულს რომ დააგემოვნებ, ამაზე უკეთესი რა არის. მიყვარს ეზოში გაშლილ სუფრას ცოლიკაურის ნაჟური, ბოსტანში დაკრეფილი მწვანილი, კეცზე გამომცხვარი მჭადი და ქიძინიძეებში დამზადებული მოშუშული ყველის ბორანი რომ ამშვენებს. სოფელში რომ ცხოვრობ, პირუტყვი უნდა იყოლიო, დილით მამლის ყივილი უნდა გაღვიძებდეს, საღამოს ოჯახში შენს კარმიდამოში მოყვანილ-დაკრეფილი ნობათი უნდა შეგქონდეს.

- საუბედუროდ, ქართულ სოფელს ბევრმა ზურგი შეაქცია...

- ეს სენი მარეთის ხეობის სოფლებსაც შეეპარა. დღვანში შუქრი და დავით ფუტკარაძეების კარმიდამოს, საცხოვრებელ სახლს ბადალი არ ჰყავდა. გულს მტკენს, როცა მის ეზოში დაუკრეფავ ხეხილს ვხედავდი. სასიმინდე ნაკვეთს და ბოსტანს ეკალ-ბარდი აქვს მოდებული. ზოგიერთს ოჯახის მიხედვას სხვის მოჯამაგირედ ყოფნა ურჩევნია. კარგია, როცა მეზობელ ქვეყანაში სამუშაოდ გადიხარ და ოჯახის სარჩენ ფულს შოულობ, მაგრამ ეს საკუთარი მეურნეობის განადგურების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ტყემალის, ვაშლის, კურკოვნების ბაღებს ქიძინიძეებლები უპატრონოდ რომ ვტოვებთ, უფალი არ გვაპატიებს. ქართული სუფრისთვისთვის ზურგის შექცევა ქვეყნის დაქცევის დასაწყისად მიმაჩნია.

- საკრებულოში არჩეული 7 მაჟორიტარიდან ყველა ცდილობს ადგილობრივი, რეგიონული, ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიზნობრივად გადაანაწილოს. პრიორიტეტების განსაზღვრაში თუ ხართ ჩართული?

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობით მსურს ახალი პროექტები და პროგრამები შევმატო ხუთივე სოფელს. მოსახლეობა ნაკლებად ცდილობს გრანტების მოპოვებას, თანადაფინანსების პროგრამებით სარგებლობას. ყოვლად გაუმართლებლად მივიჩნევ აჭარა-შავშეთის ქედზე ქიძინიძეებისა და მეზობელი სოფელ ჯაბნიძეების მოსახლეობის განკუთვნილი თეთრბაკისა და ნაკარას იაილების გაუქმებას. თუ გერმანელებმა აჭარაგურიის ქედზე, მთა მერიაყელში, წელიწადის 4-ვე დროს მოქმედი ტურისტული ობიექტი აამოქმედეს, იგივე ხომ შეიძლება ჩვენს იაილებშიც? კარგი ისაა, წინაპრების დანატოვარს ახალი შენაძენით რომ გაამდიდრებ.

„საორსას“ ახალი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისში მდებარე სასწავლო სივრცის მფლობელმა თამაზ თავდგირიძემ გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს „მეწარმეობისა და ლიდერობის სკოლის“ განხორციელებას და ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას „საორსასთან“ ერთად. ეს გახლავთ პარტნიორობის სრულიად ახალი პრაქტიკა აჭარის რეგიონში. ამაზე და სხვა სიახლეებზე „საორსას“ დამფუძნებელი ***ლია შუტკარაძე*** *გვესაუბრება.*

- კავშირი ყოველთვის გულისხმობს საერთო ინტერესების აღმოჩენას, რაც იწვევს სასიკეთო ცვლილებებს და მეტიც - მეგობრობას. ჩვენი ახალი პროექტის - „მეწარმეობისა და პოლიტიკის დიალოგის ხელშეწყობა აჭარაში მცხოვრები ქალებისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი „მეწარმეობისა და ლიდერობის“ სკოლისათვის გვესაჭიროებოდა სივრცე. ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ამ პროცესში მარტო არ ვყოფილვართ. თამაზ თავდგირიძემ თავის საკუთრებაში არსებული სასწავლო სივრცე სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ დაგვითმო. მადლიერი ვართ, რომ ჩვენი კავშირი შედგა და მეტიც, იგი მიმართული იქნება ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისკენ.

- **როგორ შეაჯამებთ გასულ წელს?**

- 2021 წელი სავსე იყო შესაძლებლობებითა და გამოწვევებით. მთავარი მიზანი ადამიანების კეთილდღეობისათვის დაუღალავი შრომა გახლდათ, რომელიც ახალ პროექტში გადაიზარდა. გვქონდა პროექტი „ქალები დემოკრატიული ჩართულობისთვის“ და პირველად აჭარის რეგიონში დარეგისტრირდა „ქალთა პროფესიული რეგიონული ჰაბი“, რომელიც წარმოადგენს საერთო შრომით, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული და სამოქალაქო ინტერესებით დაკავშირებული ადამიანების ნებაყოფლობით საზოგადოებრივ გაერთიანებას.



ჰაბი არის ქალთა დემოკრატიული ჩართულობის გამოხატულება, რომელიც მხოლოდ პროექტის მონაწილეების შესაძლებლობების განვითარებაზე კი არ ზრუნავს, არამედ იმ ქალებისკენაც არის მიმართული, ვისაც სურს ქმედება აქციოს პოზიტიურ ცვლილებად, დანერგოს იგი და სხვებსაც გაუადვილოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზებით სიარული. ამავე პროექტის ფარგლებში შექმნილმა ქალთა საინიციატივო გუნდებმა შეიმუშავეს საბიუჯეტო პროგრამები, რომლებიც წარუდგინეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. 2021 წელს „საორსა“ შუახევსა და წალენჯიხაშიც შევიდა და მეტიც - ბინა დაიდო ევროპაში, პოლონეთში. შარშან დაიწყო ჩვენი უკვე მიმდინარე სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი „მეწარმეობისა და დიალოგის ხელშეწყობა აჭარაში მცხოვრები ქალებისათვის“. უნდა აღინიშნოს ოფიციალური და სტრატეგიული შეხვედრა მერებთან ერთად. თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია არის მთავარი მამოძრავებელი ძალა და წინაპირობა სასიკეთო ცვლილებებისა. „საორსა“ მოხარულია, რომ რეგიონში პირველად, ჩვენი ინიციატივითა და USAID-ის მხარდაჭერით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, წარიმართა სამმხრივი დიალოგი და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელმაც მოიცვა ხუთივე მუნიციპალიტეტი: ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო.

- **თქვენმა ორგანიზაციამ რა სიაახლეებით დაიწყო 2022 წელი?**

- „საორსას“ მუდამ თან სდევს სიახლეები და მის გარეშე წარმოუდგენლად გვეჩვენება ყოველი დღე, რომელიც თავისთავად არის დატვირთული საინტერესო სიახლეებით. წელს „მეწარმეობისა და ლიდერობის სკოლამ“ აიღო სტარტი, რომელიც ჩვენი პროექტის ფარგლებში გაიხსნა და რომლის ფინანსური მხარდამჭერი ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო გახლავთ. ამავდროულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვყავს ახალი მხარდამჭერი თამაზ თავდგირიძის სახით, რაც კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია.

იხ. მე-7 გვ.

„ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს“... მაგრამ სწორედ ბათუმში მოხდა

ზაზა ხალვაშის ფილმს ევროპის კინობაზრობაზე დღეს აჩვენებენ

ხვალ, 15 თებერვალს, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, ევროპის კინობაზრობაზე კინოკრიტიკოსებისთვის, დისტრიბუტორებისთვის, სხვადასხვა კინოფესტივალის სელექციონერებისთვის ზაზა ხალვაშის ფილმის - „ლოტო - იგავი ზღვისპირა ქალაქზე“ ონლაინჩვენება (პანდემიის გამო) გაიმართება

სიმბოლურია, რომ ჩვენების დრო ძალიან ახლოსაა რეჟისორის გარდაცვალების თარიღთან (4 თებერვალი). საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც შეიქმნა ეს ფილმი, იზრუნა მის შემდეგ ბედზეც და აღნიშნულ კინობაზრობაზე ორ სხვა ქართულ ფილმთან (გიორგი ოვაშვილის „მშვენიერი ელენე“ და ლევან თუთბერიძის „სამურაი დასვენების ჟამს“) ერთად წარადგინა. იმედია, ფილმით დაინტერესდებიან და მას არაერთ ფესტივალზე სათანადოდ შეაფასებენ, ისევე, როგორც ზაზა ხალვაშის წინა ფილმს „ნამეს“, რომელიც, მართლაც, განსაკუთრებულია მის შემოქმედებაში.

ბათუმელებმა კარგად იციან, რომ „ლოტო - იგავი ზღვისპირა ქალაქზე“ რეჟისორის ბოლო ნამუშევარია, რომლის დამთავრება სრულყოფილად ვერ მოასწრო. გადაღებები ერთი თვე, 2019 წლის 25 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე, მიმდინარეობდა. შესასრულებელი დარჩა მონტაჟის დიდი ნაწილი და ფილმის საბოლოოდ შეკვრა. საბედნიეროდ, ზაზა პროფესიულ ჩანაწერებს აკეთებდა არა მარტო ფილმის იდეის და ფორმის შესახებ, არამედ იმაზეც, როგორ უნდა დაემონტაჟებინათ, რაც ძალიან გამოადგათ ნამუშევრის დასასრულებლად რეჟისორის ქალიშვილ თამთა ხალვაშს, დამდგმელ ოპერატორ გიორგი შველიძეს და მონტაჟის რეჟისორ ლევან კუხაშვილს. ფაქტია, მათ საქმე ბოლომდე მიიყვანეს სწორედ ზაზა ხალვაშის ჩანაფიქრის, მისი სათქმელის ერთგულებით. სამიოდე კვირაა, რაც ფილმმა საბოლოო სახე მიიღო და, აი, საერთაშორისო კინობაზრობაზე გამოტანით უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯიც მისი წარმატების გზაზე.

ნიჭითა და სხვა პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებულმა ჩვენი კუთხის ამ შემოქმედმა, რომელმაც კინოორბიტაზე გამოჩენისთანავე ფილმით „აქ, ჩვენთან“ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ კინემატოგრაფში, თავისი ბოლო ფილმით უდიდესი სიყვარული აუხსნა მშობლიურ ქალაქს და ქალაქელებს. სად, თუ არა ბათუმურ იტალიურ ეზოებში (ამ შემთხვევაში - დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის წინ) ჩანს ბათუმური სული, ქალაქური კოლორიტი, სადაც სხვადასხვა ეროვნების, სოციალური ფენის, პროფესიის და ხასიათის ადამიანების ურთულეს მოზაიკაში ყვავილობს ერთმანეთის და სიცოცხლის სიყვარული. ზაზამ სწორედ აქ მცხოვრები უბრალო, ჩვეულებრივი ბათუმელების ხასიათებით, მათი ურთიერთობებით დაგვანახა თავისი დამოკიდებულება, უდიდესი სიყვარული და მადლიერება ქალაქისადმი, სადაც გაიზარდა. დასრულებული ფილმი მხოლოდ ერთეულებს აქვთ ნანახი, მაგრამ ყველას დიდი მოლოდინი აქვს, რომ ადამიანური გრძნობებით ნაქსოვი ეს კინოპანო გულგრილს არ დატოვებს მსოფლიო კინომაყურებელს, რადგან აქ მოთხრობილი ადამიანური ისტორიები ინდივიდუალურიცაა, კოლორიტულიც და ზოგადადამიანურიც. სწორედ ამ ერთიანობას ადასტურებს ფრაგმენტი ზაზა ხალვაშის ჩვენეული ინტერვიუდან, რომელიც მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით, ორი თვით, ადრე ავიღე. მართალია, მაშინ ისიც გვითხრა, რომ ფილმი ბათუმზე კი არა პირველ სიყვარულზეა... მაგრამ, ვფიქრობ, ერთი მეორეს არ გამორიცხავს, რადგან ორივე სიყვარულია, ერთი ადამიანს ეხება მეორე - ქალაქს, რომელიც, საბოლოოდ, სწორედ ადამიანების კრებულია. თანაც მან ხომ სწორედ მშობლიური (ბათუმისთვის დამახასიათებელი) გარემოთი გადმოსცა მარადიული გრძნობის ფილოსოფია...

იხ. მე-8 გვ.

> სათქმელი ბევრია.
> აი, ეს ბევრი უნდა ჩაეტიოს მცირეში.
> ეს მცირეები კი ბევრი უნდა იყოს.
> მრავალი მცირე.
> ანუ, ბევრი ცოტა...
>
> **ზაზა ხალვაში**

„მიწისძვრისას გაქცევა არ უნდა ვცადოთ“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, სეისმოლოგ ზურაბ ჯავახიშვილის განცხადებით, სოფელ სამებასთან 6,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას რამდენიმე განმეორებითი ბიძგი, ე. წ. აფთერშოკი მოჰყვა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი 4,5 მაგნიტუდის იყო. მისი თქმით, მორიგი მძლავრი ბიძგების განმეორების ალბათობა ნაკლებია.

„მიწისძვრა, საბედნიეროდ, დაუსახლებელ ადგილას მოხდა. დასახლებულ პუნქტებში რომ მომხდარიყო, გარკვეულ დაზიანებას, თუნდაც მაღალ შენობებში, აუცილებლად გამოიწვევდა. გარდა ამისა, ძველი შენობები ასეთ მძლავრ მიწისძვრას ვერ უძლებს, - განაცხადა ჯავახიშვილმა, - შესაძლოა, პატარა ბიძგები განმეორდეს, თუმცა საგრძნობი რომ იყოს და რყევები, მაგალითად, თბილისში ან ბათუმში იგრძნონ, ნაკლებად მოსალოდნელია“.

ზურაბ ჯავახიშვილმა მოსახლეობას გარკვეული რჩევები მისცა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს: „პირველ რიგში, მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს, რომ ჯავახეთის ზეგანი სეისმურად ძალიან აქტიურია და ასეთი დროს მოქალაქეები მშვიდად უნდა იყვნენ. ყველა საერთაშორისო ექსპერტი გვირჩევს, რომ მიწისძვრის დროს შენობა არ უნდა დავტოვოთ და არ უნდა ვცადოთ გაქცევა. უნდა დავრჩეთ იქ, სადაც ვართ. რა თქმა უნდა, ასეთ დროს უნდა მოვშორდეთ ფანჯრებს, თაროებს და სხვა ნივთებს, სადაც რაიმე შეიძლება დაგვეცეს. ძლიერი მიწისძვრის დროს ყველაზე უსაფრთხო ადგილზე უნდა გავჩერდეთ და დაველოდოთ მის დასრულებას. თუ შენობას დავტოვებთ, განსაკუთრებით მაღალ შენობებს უნდა მოვშორდეთ. არ უნდა ვისარგებლოთ ლიფტითა და კიბეებით, რომლებიც მიწისძვრის დროს ყველაზე სუსტი წერტილებია. სჯობს, ღია ადგილზე გავიდეთ და იქ დავრჩეთ“, - განაცხადა ჯავახიშვილმა.

„ომიკრონის“ პიკს მალე გადავალთ

- საწოლფონდი ნამდვილად თავისუფალი გვაქვს. დაახლოებით 6 ათას საწოლამდეა დღეს ათვისებული, 8 ათასზე მეტი საწოლი გვაქვს მობილიზებული. ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, - ახლა გავდივართ „ომიკრონის“ პიკს და ჩვენი ვარაუდებით და დიდი ალბათობით, ამ პიკს გადავივლით რამდენიმე დღეში და მერე იქნება შემთხვევების კლება.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაყლაპა პატარა პარტიები და შექმნა გადაწყვეტილების მიღების უუნარო ალიანსი“

მე-3 გვერდიდან

- 2 აპრილის შუალედურ არჩევნებში მონაწილე „ქართული ოცნების“ კანდიდატს რამაზ ჯინჭარაძეს როგორ დაახასიათებთ, აქვს თუ არა გამარჯვების შანსი იმ ოლქში, რომელიც თავის დროზე ოპოზიციამ მოიგო?

- თუ გინდათ, პირდაპირ გეტყვით სცენარს, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაათამაშებს. ფაქტია, რომ რამაზ ჯინჭარაძე იმდენად ძლიერი კანდიდატია, ვერაფრით ეყოლება ღირსეული მეტოქე ოპოზიციის მხრიდან. რამაზი არის პიროვნება, რომელმაც უამრავი სასიკეთო საქმე გააკეთა არა მხოლოდ ბათუმის, სრულიად აჭარისთვის. მისი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება ყველა პროექტი, რომელიც ეკომიგრანტების თემას ეხება. მისი დამსახურებაა, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ძალიან ბევრი სოციალური პროგრამა, რეალურად ეხმარება უმწეო და შეჭირვებულ ოჯახებს. წლების განმავლობაში რამაზ ჯინჭარაძე უძღვებოდა მთელ ამ პროცესს. მარტო „ოცნების ქალაქის“ მოწესრიგება რად ღირს. მან, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, სამთავრობო გუნდთან ერთად, უზარმაზარი ძალისხმევის ფასად, შეძლო მოეგვარებინა აქ არსებული ძალიან მძიმე ვითარება. დღეს, სხვადასხვა გასაჭირის გამო, უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიაზე, სადაც ნორმალური ცხოვრებისთვის არანაირი პირობები არ არსებობდა, უკვე ახალი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს.

- თქვენ სცენარი ახსენეთ...

- კი, ბატონო, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ოპოზიცია დაიწყებს ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებით აპელირებას მაისურებით, რომელზეც მის ფოტოს განათავსებენ, წინ წამოწევენ ემოციურ ფონს. შეიძლება მათ კანდიდატს, ნუგზარ ფუტკარაძის შვილს იცნობენ მისი ახლობლები, მაგრამ პოლიტიკურ სივრცეში ის არსად გვინახავს. რომ შევადაროთ მათე ფუტკარაძის და რამაზ ჯინჭარაძის ბიოგრაფიები, ცხადია, უზარმაზარი განსხვავებაა. ადამიანებს თვალები აქვთ. ამ თამაშს უმჯობესია, სიმართლეს შეხედონ რეალურად, შეწყვიტონ ტრაგიკული სიტუაციით მანიპულირება და არ გამოიყენონ ადამიანის გარდაცვალება ვიწრო პარტიული ინტერესის გასატარებლად. ამორალური, ამაზრზენია, რასაც აკეთებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მსგავსი ქმედებით, იმ ახალგაზრდას მომავალს გაუფუჭებენ - ვეღარ შეძლებს თავის დამკვიდრებას პოლიტიკაში, თუკი შემდგომ ექნება ამის სურვილი.

„საორსას“ ახალი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავს

მე-6 გვერდიდან

- როგორია „საორსას“ გეგმები და რომელია უახლოესი აქტივობა, რომელსაც „საორსა“ განახორციელებ?

- „საორსას“ გეგმები მრავალფეროვანია. ნებისმიერი აქტივობა მიმართულია იმ კონკრეტული ამოცანების სრულყოფისკენ, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას სოციალურ და ინკლუზიურ საკითხებში, მეწარმეობის უნარების, დასაქმების, ბიზნესსერვისების, ფინანსური წიგნიერების, ლიდერობისა და მენტორობის გამომუშავებაში. ამავდროულად, აღსანიშნავია ქალების მობილიზებისკენ გადადგმული ნაბიჯები, რაც მიმართულია თემის განვითარების პროგრამების ხელშესაწყობად. უახლოესი აქტივობა, რომელსაც „საორსა“ განახორციელებს, იქნება „მეწარმეობის კვირეული“, რომლის ფარგლებში პროექტის მონაწილეები ეწვევიან აჭარის რეგიონში არსებულ საწარმოებს, გააზიარებენ არსებულ ცოდნას და ექნებათ შესაძლებლობა, ისწავლონ და განავითარონ ბიზნესიდეა, ან ხელი შეუწყონ მისი ჩამოყალიბების პროცესს. აქვე გვინდა გიამბოთ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების პროგრამაზე, რომელიც სულ რამდენიმე დღეა გამოცხადდა. „საორსა“ გთავაზობთ კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის 32-საათიან სასწავლო პროგრამას, რომლის მიზანია, ადამიანებს დაეხმაროს საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმონ კარიერული განვითარება. შემუშავებულია სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ მოდულებს: კარიერული განვითარება; პროფესიის არჩევა; გადაწყვეტილების მიღება; ღირებულებები; ინტერესები; უნარები; პიროვნება; სამუშაო გარემო და პროფესიული შესაძლებლობები; იდეალური სამუშაოს ძიების პროცესი; მოტივაცია და სამუშაოს შესრულების შეფასების ინდიკატორები; ინდივიდუალური განვითარების გეგმა. სიამონებით გიზიარებთ სააპლიკაციო ფორმის ბმულსაც დეტალური ინფორმაციისთვის: https://forms.gle/h2yuM9a1eVS-MGh5X8. ორგანიზაციული განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერების მხრივ კონსულტირებაში დახმარებას გვიწევს USAID-ი, რომლის ფარგლებში ჩვენ არაერთ სიახლეს შემოგთავაზებთ როგორც ინდივიდებს, ასევე ორგანიზაციებს. ამიტომ თვალი ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელებს და დაელოდეთ ახალ ამბებს, რომელთა ნაწილი თავადაც შეგიძლიათ გახდეთ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/02/22, 20 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს“... მაგრამ სწორედ ბათუმში მოხდა

ზაზა ხალვაშის ფილმს ევროპის კინობაზრობაზე დღეს აჩვენებენ

მე-7 გვერდიდან

„ფილმი ბათუმზე კი არა, პირველ სიყვარულზეა. ბათუმში ხდება ეს ამბავი, ერთ იტალიურ ეზოში. ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს. უბრალოდ, ვინაიდან ბათუმელი ვარ, ჩემს წარმოსახვაში ბათუმელი პერსონაჟები ჩნდებიან. ეს უფრო დრამაა, რომელიც ერთ პატარა, ზღვისპირა ქალაქის ეზოში ხდება. განსხვავებული ეროვნების, ხასიათის 25-მდე პერსონაჟია. არც ახლა ვიღებ ნარატიულ თხრობით ფილმს. ესეც გარკვეული კინემატოგრაფიული ექსპერიმენტი იქნება, რადგან შავ-თეთრია. ბათუმზე რომ ვიღებდე, ფერადს გავაკეთებდი, აქ კი შეგნებულად ვარჩიე შავ-თეთრი, რადგან შავ-თეთრი დატოვებს მთავარს - ადამიანს, სულის კონცენტრირებას ახდენს გამოსახულებაში, ამ სიუჟეტებში, ამ ეზოში ვხედავ წერტილის სიღრმეს - წერტილია ეს ეზო მსოფლიო რუკაზე, მაგრამ იმხელა სიღრმე აქვს, როგორც ბალახზე დაცემულ ცვარს, რომელშიც მთელი ცის თაღი, სამყაროა ჩანს. მოკლედ, ეს იქნება შავ-თეთრი ფილმი ფერად ისტორიებზე“, გვითხრა მან, მაგრამ სწორედ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან ამ კინოსურათის გმირები, ქმნიან ბათუმს, მის სულს. საინტერესოც სწორედ ისაა, რომ შავ-თეთრად ხატავს უაღრესად ფერადოვან ამბებს ხასხასა ინდივიდუალურობით გამორჩეული ადამიანების ცხოვრებიდან. ზაზას პიროვნების გასახსენებლად და მისი სულის ოდნავ მაინც დასანახად ხსენებული ინტერვიუდან ერთი ფრაგმენტის მოტანაც არ იქნება ურიგო, შეკითხვაზე: - სიყვარულში ამ შავ-თეთრული დაკონკრეტებით ინტუიციურად, ან იქნებ გააზრებულადაც ხომ არ მიგვანიშნებ იმას, რომ დაღვინებულ ასაკში დაგაზუსტე, რა არის ეს გრძნობა? - მან ჯერ გაიცინა და მერე მიპასუხა: - ყოველ შემთხვევაში ერთი რამ კი ვისწავლე - სიყვარული ყველას, ნებისმიერ ასაკში, ყოველთვის უნდა. ის, უბრალოდ, სიცოცხლისთვის აუცილებელია. ბანალურია, მაგრამ აქამდე მისვლაა საჭირო. სიყვარულია შენდობა, შეცოდებაცაა, გაჭირვების გაზიარება, თავგანწირვა... ჩემს ასაკში მივხვდი, რომ ყველას გვინდა სიყვარული, მაგრამ იგი მაინც ცოტაა... მაგრამ თუ წააწყდები და იპოვი, ხელი არ გაუშვა, ჩაავლე და დაუჯერე. ახალგაზრდობაში შეიძლება ფილმი გადაიღო ან დაწერო ვნებებზე უფრო, ხოლო ჩემნაირ, დაღვინებულ ასაკში შეიძლება გადაიღო სიყვარულზე, როგორც ფილოსოფიაზე...“.

სრულებით არ იყო გასაკვირი, რომ ამ სულისკვეთების ფილმის გადასაღებად ზაზა ხალვაშს არა მარტო პროფესიონალი მსახიობების ოსტატობა დასჭირდა, არამედ არაპროფესიონალი, გამოკვეთილად ბათუმური სახეების მქონე თანაქალაქელთა ინდივიდუალურობაც. სწორედ ამ მკაფიო ფერების დამატებით შეიქმნა ადამიანის სულის ამსახველი ფერადი სურათი, რომელიც, ვფიქრობ, თავის სიტყვას იტყვის საერთაშორისო არენაზე. ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ ასეთ არაპროფესიონალთა შორის აღმოჩნდნენ ჟურნალისტი მედეა ჩარკვიანი და საოპერო მომღერალი ინგა ჯახუტაშვილი, რომლებსაც არტისტიზმიცა და ინდივიდუალურობაც გამოარჩევს სხვათაგან.

- მსახიობის ამპლუაში ყოფნა საერთოდ არ გამჭირვებია, ალბათ, იმ პრინციპით, რომ ცხოვრება თამაშია. ზაზა ძალიან მეხმარებოდა... წინა დღით მეუბნებოდნენ, რომელი ეპიზოდი უნდა გადაიღოთ, გადასაღებ მოედანზე კი თავად მაძლევდა ამოცანას და მიხსნიდა, როგორ უნდა მეთამაშა... ძალიან კომფორტული იყო მასთან მუშაობა, საინტერესოც და სასიამოვნოც... ერთ-ერთ ეპიზოდს, როცა მანქანით შევდივართ ეზოში, ძალიან ბევრი დუბლი დასჭირდა... იმიტომ არა, რომ მსახიობებმა კარგად ვერ გავართვით თავი ამოცანას, მიზეზი სულ სხვა იყო: ხან მეზობელი გადმოდგა ფანჯრიდან, ხან უცხო სტუმარი შემოვიდა ეზოში, ხან ძაღლი გადმოხტა კიბეებიდან... ეს ისე გაიწელა, რომ სანუკვარი „გადაღებულიას“ გაგონება ქვეყანას მერჩივნა... ყოველ ჯერზე, როცა თავიდან დუბლის გადაღება იყო საჭირო, ზაზა ისეთი მორიდებით და მობოდიშებით მთხოვდა ამას, რომ თვითონვე ვვარდებოდი უხერხულობაში... ზაზას შეფასება ჩემი შესრულებული როლის შესახებ, რომელიც თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუში წავიკითხე, ჩემთვის უდიდესი კომპლიმენტია, რითაც გულწრფელად მოვიხიბლე. ამ როლზე მას სჭირდებოდა ძლიერი, მკაცრი და განათლებული ქალი. ოჯახში სწორედ ლამარა - ჩემი პერსონაჟია პირველი ვიოლინო. იგი მდიდარია და, ამასთანავე, ცოტა სნობიც.ზაზას უნდოდა, გროტესკულიც ყოფილიყო, რაც გავაპროტესტე და ისიც დამთანხმდა. მსგავსი კომფორტული, კეთილგანწყობილი, თბილი, სასიამოვნო, კოლეგიალური, ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით სავსე გარემო, როგორიც ამ ფილმის გადასაღებ მოედანზე იყო, იშვიათად მინახავს... ასეთი იდილიის შექმნის დიდოსტატი იყო ზაზა ხალვაში. გული მიგრძნობს, რომ ბერლინალე ფილმის წარმატების დასაწყისი იქნება, რადგან მასში არის ყველაფერი, რაც ადამიანებს განსაკუთრებით აკლიათ - ბუნებრიობა, სიკეთე, სითბო, სიყვარული, უშუალობა და სულის ფერადოვნება, - გვითხრა მედეა ჩარკვიანმა.

- ზაზა არა მარტო ჩემთვის, მთელი ბათუმისთვის საყვარელი პიროვნება იყო. როცა დამირეკა და მითხრა, ფილმში უნდა გადაგიღოო, ცოტა არ იყოს შევშინდი, რადგან პირველი შეხება იყო კინოსთან! შევხვდით მის ოფისში და მომცა სცენარი, გაეცანი და დავიწყოთ მუშაობაო. წავიკითხე და საკუთარი თავი დავინახე იმ ქალის სახეში, რომელიც ოპერის მომღერალია და სიყვარულის გამო დათმო კარიერა. შეუყვარდა ახალგაზრდა სამხედრო ბიჭი, რომელიც ომიდან ინვალიდი დაბრუნდა და მოვლას საჭიროებდა. როლზე მუშაობა არ გამჭირვებია, რადგან თავადაც ოპერის მომღერალი ვარ და მეც შემიძლია სიყვარულისთვის ვაბანკზე წასვლა. გადაღებები, კამერებთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო ყველასთვის, რაღაც ერთი გუნდი შეიკრა. ყველა ერთმანეთს ვუჭერდით მხარს. ჩემს გმირს, ტანიას, თითქმის ყველა გმირთან აქვს შეხება, რადგან ლოტოს თამაში თვითონ წამოიწყო და მეზობლებიც აიყოლია. ფულზე ათამაშებდა ყველას და ამით ინვალიდ ქმარს არჩენდა, რადგან სხვა შემოსავალი არ ჰქონდა. დაუვიწყარი გადაღებები იყო სიყვარულით და ურთიერთობებით, ყავის სმით... იმ ეზოში მცხოვრები მეზობლებიც კი დაგვიახლოვდნენ და ხან ჩაის, ხან ყავას გვიდუღებდნენ. ერთი ოჯახივით გავხდით. დილას გათენება მიხაროდა და მივიჩქაროდი გადასაღებ მოედანზე. არ ვიღლებოდი, თუმცა იყო დღეები, როცა გვიან მთავრდებოდა გადაღება, მაგრამ ეს ისეთი სიამოვნება იყო... ყოველდღე ხომ არ მიღებდნენ კინოში... ამიტომ სულმოუთქმელად ველოდებოდი გათენებას. ასეთ გარემოს, რა თქმა, უნდა, ზაზა გვიქმნიდა და მადლობას ვუხდი, რომ კინოს მაზიარა, - გვითხრა ინგა ჯახუტაშვილმა.

ფილმზე აზრი პროფესიონალ მსახიობს, საპატიო ბათუმელს, დამსახურებულ არტისტს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორ თამილა მეიშვილსაც ვთხოვეთ, რომელსაც კინოში მიწვევით დიდი ხნის ოცნება აუხდინა ზაზამ:

- „ლოტო - იგავი ზღვისპირა ქალაქზე“ ყველა ბათუმელის სიყვარულის, თანაცხოვრებისა და ურთიერთობების ფერადი ისტორიაა ჩვენს განუმეორებელ ქალაქში. ესაა ფილმი წვიმაზეც, ზღვაზეც, ტკივილზე, სიხარულზე, სევდასა და ბოლოს მაინც საოცარ სიყვარულზე. ბედნიერი ვარ, რომ ამ ფილმში მონაწილეობის პატივი მერგო, რაც მთელი ცხოვრება ჩემში ყველაზე ლამაზ, სათუთ და ნოსტალგიურ მოგონებებს გააღვიძებს... ვფიქრობ, ეს თემა ყველა ეროვნების მაყურებელს გულზე მოხვდება... მე დედას ვთამაშობ, რომელსაც ჰყავს ერთი ქალიშვილი, არ ემეტება გასათხოვრად, მაგრამ იგი მაინც მიჰყვება უვარგის ბიჭს. ამას განიცდის ჩემი გმირი, რომელსაც ქმარი არ ჰყავს და მეზობლების ჩარევით, მათი დახმარებით ურიგდება ორივეს, ქორწილსაც უხდის და ყველაფერი კარგად მთავრდება, - გვითხრა მან.

ზაზაზეც და ფილმზეც მის მეუღლე ნინო პაპუნიძესთანაც ვისაუბარეთ:

- გადაღებებზე ზაზას მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო სანახაობა იყო. ვფიქრობ, ამაზე სტუდენტებისთვის სასწავლო ფილმის შექმნაც არ იქნებოდა ურიგო. დიდძალი მასალა დაგვიგროვდა გადაღებების მიმდინარეობაზე. დღის დასრულების შემდეგ სახლში გრძელდებოდა დისკუსია, საბოლოოდ როგორი ფილმი უნდოდა, გამოსულიყო. ეს დისკუსიებიც ერთი სიამოვნება იყო პირადად ჩემთვის და ძალიან დამაკლდა. ამბობდა, რომ ეს ფილმი მისი ბავშვობის ამბების ერთობლიობაა, ანუ რა ამბებიც ესმოდა ბავშვობაში, რაც ხდებოდა მის ახალგაზრდობაში, ისინი აკინძა და დაუკავშირა ერთმანეთს. ვფიქრობ, ფილმი შედგა. მოგეხსენებათ, ზაზამ 1,5-საათიანი შავად დამონტაჟებული მასალა დატოვა, საბოლოო სახე კი ჩვენმა უფროსმა ქალიშვილმა თამთამ, დამდგმელმა ოპერატორმა გიორგი შველიძემ და მონტაჟის რეჟისორმა ლევან კუხაშვილმა მისცეს ფილმს. მადლობა მათ ასეთი თავდადებული მუშაობისთვის. მოგეხსენებათ, ზაზა მუდმივად წერდა დღიურებს. სწორედ ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ფილმის დასრულებას. ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული ფილმის იდეა, ფორმატი. ეს ძალიან დაგვეხმარა, რომ არ ავცილებოდით მის ჩანაფიქრს. პოსტპროდუქცია (გახმოვანება, ფერების კორექცია, ტიტრები) ლიეტუვასა და ლატვიაში გაკეთდა. ფილმი ქართულ-ლიეტუვური კოპროდუქციაა. დიდ მადლობას ვუხდი ლიეტუვურ მხარეს, კერძოდ, იევა ნორვილაინეს და იონას მასკვიტისს თანადგომისთვის, - თქვა ნინომ ჩვენთან საუბარში.

თამთა ხალვაშმა მთელ ამ წარმოდგენას ფილმზე, რომელიც ჯერ არ გვინახავს, კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი შემატა, როცა გვითხრა: „ფილმის ყველა პერსონაჟი ერთნაირად მნიშვნელოვანია, აქ მთავარი გმირის ცხოვრებაზე კი არა გმირების თანაცხოვრებაზე მოგვითხრობენ, რაც სიყვარულის ნაწილია... აქ არის იმედგაცრუებაც, ბრაზიც, პატივისცემაც... ფილმის ერთ-ერთი გმირია ზღვაც და მასთან დაკავშირებული სენტიმენტებიც... განგაცდევინებს, იმას, რომ ზღვა სიყვარულის ადგილია, მაგრამ გაუჩინარების, სიკვდილის ადგილადაც შეიძლება იქცეს...

ეს წერილი ჩემთვის ერთგვარი ვალის მოხდაც და სიყვარულის გამოხატულებაცაა ზაზა ხალვაშისადმი, რომლის მოულოდნელ გარდაცვალებას მიზეზთა გამო თავის დროზე ვერ გამოვეხმაურე. მისმა წასვლამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სიკვდილი განსაკუთრებული სიმკვეთრით აჩენს იმ ადამიანების განუმეორებლობასაც კი, რომელთა ფასი თითქოს მათ სიცოცხლეშივე კარგად ვიცოდით, რისი შეგნებაც ტკივილს გიორმაგებს... თუმცა ზაზა ხალვაშმა მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმუმი ვერ მოასწრო, ისე იცხოვრა, იმგვარი კვალი დატოვა, იმდენი გააკეთა, სამუდამოდ დაიმკვიდრა თავისი გამორჩეული ადგილი, ზოგადად, ხელოვნებაშიც და საკუთარი ქალაქის ისტორიაშიც, როგორც დიდი სიყვარულით სავსე კაცმა, რომელმაც თავისი ბოლო ფილმით თუნდაც შეუცნობლად, სხვა, გლობალური, სათქმელის ფონზე, ასე იგავურად, განსხვავებულად, როგორც თავად ამბობს, ერთი წერტილის სიღრმეში წარმოაჩინა მშობლიური ქალაქი, თანაქალაქელები, რითაც ზოგადად, ადამიანებს უთხრა, რომ სიყვარული მთავარია და ცხოვრება სწორედ ამ აკორდზე დაამთავრა... მართლაც, რა უნდა ეთქვა ამაზე დიდი?.. „სიყვარული ყველას უნდა, მაგრამ იგი ყოველთვის ძალიან ცოტაა“... მართლაც, ყველას გვეცოტავება სიყვარული, რომელსაც გარშემომყოფნი ჩვენდამი გამოხატავენ და ცხადია, თავადაც ვაკლებთ მათ ამ უმთავრეს გრძნობას, ვინ იცის, მის წასვლაში, იქნებ ამ დეფიციტმაც ითამაშა გარკვეული როლი...

ფილმის „ლოტო - იგავი ზღვისპირა ქალაქზე“ ჩვენებას ბათუმში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზაზა ხალვაშის ხსოვნის კვირეულზე კინოთეატრ „აპოლოში“, სავარაუდოდ, 15 მაისს გეგმავს. კვირეული რეჟისორის დაბადების დღესთან დაკავშირებით (ზაზაც და მისი ცნობილი მამაც - ჩვენი სასიქადულო პოეტი ფრიდონ ხალვაში ერთ დღეს - 17 მაისს არიან დაბადებული) გაიმართება, ასევე, შემოდგომაზე - კინოფესტივალ „ბიაფის“ ფარგლებში.

კიდევ ერთი სასიამოვნო ახალი ამბავი ზაზა ხალვაშის შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის - გამომცემლობა „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ დაინტერესდა რეჟისორის ჩანაწერებისა და კინოსცენარების გამოცემით. მალე გამოვა 4 წიგნი, რომლითაც მკითხველიც და კინომაყურებელიც ახალი მხრიდან გაიცნობს ამ ღრმა შემოქმედს, რომელსაც, უდავოდ გენეტიკურადაც დაჰყვა მწერლობის ნიჭი, თუმცა არ ისურვა, თუნდაც მამის ნაკვალევზე წასვლა, ბევრი ცნობილი ადამიანის შვილისგან განსხვავებით, საკუთარი სიტყვა თქვა ხელოვნებაშიც, ცხოვრებაშიც.

მარინა მითაიშვილი